# სახალხო გაზეთი

№ 988 კვირა, 8 სექტემბერი 1913 წ. № 988

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29

**გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.**

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა


ამ ნომერში ექვსი გვერდია.

**სახალხო გაზეთი**

**ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით**

**პირველი სექტემბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 3 მან.**

**თვეში ღირს 75 კაპ.**

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

**მისამართი:** Тифлисъ, „Сахалхо газети“ Почт. ящ. 190.

---

**კეკელა სტეფანეს ასული, მართა კირილეს ასული აფხაზიშვილისა, სოფიო, ბესარიონ, იაკობ და მიხეილ კირილეს ასული და ძენი მაისურაძენი** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობართ, რომ გარდაიცვალა პირველის მეუღლე და უკანასკნელთა მამა

## კირილე მაისურაძე.

გამოსვენება დღეს, 8 სექტემბერს დილის 9 ს. (ავლაბარი, მახათის ქუჩის მახლობლად, რკინის გზის გადაღმა), წმ. მარინეს ეკლესიაში. წირვაპანაშვიდის შემდეგ დაკრძალულ იქნება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

---

**ნინო, ბესარიონის ასული და ივანე ანდრიას ძე ყიფშიძენი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, 9 სექტემბერს გარდახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ დედის

## თინათინ ქიტოაშვილის

სულის მოსახსენიებლად. პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე, წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში. 613.

---

**გიორგი მიხეილის ძე, მელანია და ალექსანდრა მიხეილის ასულნი კოლუბანსკები და ნატალია მიხეილის ასული საყვარელიძისა,** რადგან ნათესავებსა და ნაცნობებს პირადად მადლობა ვერ ვუთხარით, უღრმეს მადლობას ვუცხადებთ ყველა იმას, ვინც პატივი სცა ჩვენი ძვირფასის დის **თეკლე მიხეილის ასული**ს ხსოვნას, პირადი დასწრებით, დეპეშებით, თუ წერილებით. 609

---



**პირველ-ხარისხოვანი**

## დიდი ცირკი ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და მის დაბრუნებისასაც მუშაობს.

**დღეს, 8 სექტემბერს, 1913 წ. გაიმართება**

## 2 დიდი სადღესასწაულო წარმოდგენა

დღისით წარმოდგენა დაიწყება 2½ საათზე. ბავშვთა დღესასწაული. ჩინებულად შედგენილი მდიდარი პროგრამა ბავშვებს ძლიერ გაართობს. ბავშვებისთვის ცხენებზე და ვირებზე უფასო ჯდომა. საღამოს წარმოდგენა-დღესასწაული. დირექციამ დიდი ძალი ფული დახარჯა საღამოს წარმოდგენისთვის. პირდაპირ ახალ-ახალი ამბები! ეცადეთ არ მოაკლდეთ! დღევანდელი საღამო გაგანცვიფრებთ თქვენ თავისი შინაარსით. „4 ეშმაკის“ გასტროლები თავის ახალი მეხუთე ამხანაგის ბ. ჯიოვანისთან ერთად. გასაკვირველი სანახაობა: სიმარდე და ჯირითი. უნდა ნახოთ, თუ გინდათ დარწმუნდეთ. სიცილ-ხარხარით დაგხოცავენ ჯამბაზები **ძმ. ვისჩენცოები.** მონაწილეობენ საუკეთესო არტისტი ქალები და კაცები. დაწვრილებით პროგრამებში. დირექცია აუწყებს მათ, ვისაც დირექციასთან რაიმე საქმე აქვს, პირადად მას მიმართონ, რადგან ცირკის ყოფილი გამგე ბ. ხუნდაძე ჩვენთან აღარ მსახურობს.

610 **დასაწ. საღამ. 8 ნახევ. ს.** **დირექცია ძმ. ესიკოვსკებისა.**

---

**საზამთრო ახალი კლუბი შენობა**

**ხუთშაბათს, 12 სექტემბერს,**

## სიმფონიური კონცერტი

გადაცვალებულ კომპოზიტორის ა. ქილაშვილის ნაწარმოებთაგან ქ-ნ მ. ა. კოლოტოვისა (სოპრანო), ბ-ნ **გოფმანისა** (ტენორი) და ე. ი. ზელიონის გამგებლობითა და სიმფონიურ ორკესტრის მონაწილეობით.

**დასაწყისი საღამოს 9 საათზე.** 1431.

---




**გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში ახალი სალიტერატურო-სამეცნიერო კრებული**

1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქიძისა.
2. სუმერული და ქართული, მ. წერეთლისა.
3. ოდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნულით ვ. ქავთარაძისა.
4. მეფე-მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე.

**ფასი 1 მანეთი**

---

## განქორწინების საქმეებს ვაწარმოებ

ცოდნით, კეთილსინიდისიერად და დაწვრილებით, დარიგებას ვაძლევ, აგრეთვე შემდეგ საქმეების შესახებ: **შვილობილობისა და დაკანონებისა, პენსიისა, ერთდროულ დახმარებისა, საპატიო მოქალაქისა და აზნაურობის უპირატესობათა შუამდგომლობას,** ვადგენ სხვა და სხვა ხასიათის თხოვნებსა და საქმის ქაღალდებს, ვკისრულობ **საბეჭდავ მანქანით გადაწერვას.** მიღება ყოველ დღე დილის 10-დან 2 ს.-დე და საღამოს 5-დან 7 ს.-დე.

ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახ. 118, პირველ სართულში. 1438

---

# საყურადღებოდ!

მომავალ სეზონისათვის

## შემოდგომა და ზამთარი

მთავარ მაღაზიაში

კ. ს.

# დოროხოვისა

სოლოლაკის ქ. გურგენოვის სახლი № 2, ტელეფონი 583

## მიღებულია სრულიად

## ახალი საქონლები

აბრეშუმისა და შალის ქსოვილები, ტრიკო, დრაფი და მატყლეულობა, ფერადი ბამბეულობა, სასუფრე და სხვა ტილოები, საცვლები ქალთა და მამაკაცთათვის, ქალის და მამა კაცის წინდები და სხვა ტრიკოს საქონლები შალისა; სტილიანი სადგამო მატერიები, პლუში, ტიულის ფარდები, კარებისა და ფანჯრებისთვის ფარდა, ხალიჩები ფარდაგები და „მატები“.

**თბილი საბნები, ცხვირსახოცები და წამოსასხამები**

## ყველაფერი ახალი, სუფთა, ლამაზი და იაფი

საწყობი ტილოსი, შალისა და სხვათა.

## ვამზადებთ შესაკვეთ საქონელს

საავადმყოფოებისთვის, სამხედრო საავადმყოფოებისთვის და სხვა და სხვა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებისათვის. 1469

---

სექტემბრის პირველ რიცხვებიდან

## ქართველ ქალთა ამხან. სამკერვალოში

ახლად მოწვეული **მკერვალი ქალი,** რომელმაც კარგად იცის თავისი ხელობა, **მიიღებს შესაკერად ქალთა და ბავშვთა კაბებს** ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასებში. **სწავლა ქალთა სახელოსნო სკოლაში** დაიწყება 5 სექტემბერს, გაბაათ ქუჩა, № 3. 589

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს.<br>**ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>ექ.-ქალ. **ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულ. | **ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.<br>**ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1<br>**ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძირ-ძალა შიმოწმიდა და სხვა. შილაგათიანი სათასურიო. წ. 1035

---

ელექტრონის და რენტგენის

**ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო**

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1023

---

## ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.** იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 546

---

## კ. ოცხელის წიგნის მაღაზიის ახალი გამოცემები

დაიბეჭდა ს. ძვარიანის

## „საქართველოს ისტორია“

მესამე გამოცემა; ფასი ყდით 2 აბაზი

—✦ იბეჭდება **ი. ნ ი კ ო ლ ა ი შ ვ ი ლ ი ს** ✦—

## „მოკლე გრამატიკა“

მეორე გამოცემა; ფასი ყდით ერთი აბაზი. 1461

---

## ტფ. ქართული ფილარმონიული საზოგადოების

# სამუსიკო სკოლა

ყორღანოვის ქუჩა, რჩეულიშვილის სახლი № 6.

**მოწაფეთა მიღება დაიწყება 26 აგვისტოდან** ყოველ დღე კვირა-უქმის გარდა, დილის 10 საათიდან 2 საათამდე და საღამ. 5—7 საათამდე, სკოლის კანცელარიაში. სპეციალურ საგნებზე მასწავლებელთა სია: ფორტეპიანო—**ბ. მ. ამირაჯიბისა, ო. მ. ბერგი-პივოვაროვისა, ნ. გ. კალაშნიკოვისა, გ. მ. ქიქოძე, ე. ვ. ფოგელისა და თ. ს. შაბუროვისა.** სკრიპკაზე: **მ. ტ. ვასილიევი.** ვიოლონჩელი—**ე. ნ. კაპელნიცკი.** კონტრაბასი—**მ. ი. შერშოვი,** სიმღერა, solo (ხმის დაყენება და გავარჯიშება და ოპერების შესწავლა) **ნ. ნ. სოლოვიოვა-სტრახოვა** და **ე. ბროჯი.** ელემენტ. თეორია, სოლფეჯიო (ნოტების კითხვა) ჰარმონია და ენციკლოპედია—**ზაქ. პ. ფალიაშვილი,** ხოროს კლასსი—**ზ. ი. ჩხიკვაძე.** ახლად მოწვეულნი არიან მასწავლებლად: ფორტოპიანოზე **ე. ი. პოლტარაცკისა** და სკრიპკაზე,—**გ. მ. ბროდსკი.** სწავლის ფასი: ფორტოპიანოსი 65 მ. წელიწადში, სკრიპკა,—65 და 75 მან. ვიოლონჩელი 65 მ. კონტრაბასი 50 მ., სიმღერა (solo) 75 მ. თეორიის კლასებში 15 მ. წელიწადში.

სწავლის ფასი გადახდებათ ნახევარ წლობით წინდაწინ. ხმების გასინჯვა, საეკლესიო გუნდში შესასვლელად დანიშნულია ორშაბ. და ხუთშაბათ. საღ. 5—7 ს.

**სწავლა დაიწყო 1 სექტემბერს.** 1429

---

## სამკურნალო

**სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა**

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

**აბელედიანი.** შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

**ბელანჟე.** ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

**ბოჟოვსკი.** ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვორობიოვი**—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

**შამაში,** სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

**გრიგორიანი.** ხირურგ. ავადმყ. ყოველ დღე 11 ნახ.—11 ნ.ხ. საათ.

**ახპისოვი**—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად ყ.-დღე 1—3 ს.

**ატენიანცი.** ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

**ი. ბ. ჩუდნოვსკი.** ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

**ხანდამოვი.** ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

**ნოვიცკი.** ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

**ალამკაროვი.** ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

**ექ. ქალ. ითხელიანი.** ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

**გეინაცი**—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

**ხოდნევი**—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

**ბაგდოევი**—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**სათვალეების არჩევა.**

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

---

**ე ქ ი მ ი**

## ი. ზ. გძელიშვილი

სწამლობს შინაგან, თვალისა და ბავშვთა ავადმყოფობას დილით 9—12 საათ., საღამოს 5—7 ს.

19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.) № 17, ტრამვაის გასაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლეს. გასწვრივ. 588

---

## ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე ორ**განოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლოს, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

# მყიდველთა საყურადღებოდ!

## ახალი მოდის სამანუფაქტურო მაღაზიაში პაებით ამხანაგობის

# „ს. მ. კირაკოზოვისა და ზ. გ. ოგანოვისა“

მიხეილის პროსპექტი, ნემეცების ეკლესიის პირდაპირ.

## ამა წლის 26 აგვისტოდან დანიშნულია

# დიდი იაფ-ფასიანი ვაჭრობა

ყველა იმ საქონლისა, რომელიც მაღაზიაში იმყოფება. ფასები დანიშნულია გადაჭრით. 1439.



## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

**შემდეგი წიგნები:**

- ბრძოლა, ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო . . . 1 მ.
- გიორგი ხანძთელის ცხოვრება, . 3—
- გოგებაშვილის რჩეულ. ნაწერები, 1—
- გაბაშვილი ეკატ. თხზულებანი. 1—20 „
- ეტიუდები მე-19-ე საუკ. ქართულ ლიტ. შესახებ, კ. აბაშიძისა, ტ. 1, 70 „
- იგივე, . . ტ. 2-ე, 70 „
- ექსპერიმენტალ. პედაგოგიკა უზნაძე, 75 „
- ვეფხის ტყაოსანი, წ.-კ საზ. გამ. 60 „
- „ ქართველიშვილის გამ. 11—65 „
- კახეთის ამბოხება, ა. ფრ. . . 60 „
- მთიულეთი, . . . . 40 „
- მეჯღანუაშვილი, . . . 50 „
- მაცი ხვიტია, . . . 50 „
- რჩეული ნაწ., გ. ერისთავისა 60 „
- ქილილა-ეთერი და სირინ:, ევდ. 10 „
- ქართვ. ერის ტრაგ (გიორგი სააკაძე და მისი დრო), ქვარ. . 40 „
- ჩემი ნანინა, ახოსპირ. . 10 „

**ახლად მიღებული წიგნები:**

- ჩემი ნაწერები, ტ. მე-2-ე, აკაკისა 75 „
- კოოპერატივები იტალიაში, 50 „
- წვრილი კრედიტის დაწესებულება, 10 „
- О доисторическомъ языкѣ Закавказья, К. М. Т. . . 65 „
- Обитель Св. Давида въ Грузіи, 25 „
- Памятн ген. кн. Циціанова, 25 „
- Изъ поѣздки въ Сванію. ნ. მარრი, 30 „

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217



## წიგნის მაღაზია

# „ზ. პ. გრიქუროვისა“.

**იყიდება ახალი გამოცემული**

**იოსელიანისა:** „საღმრთო ისტორია, ძველი და ახალი აღთქმისა“ დამატებით და სურათებით, გამოცემა მერვე —40 კ. იქვე იყიდება მისივე ლოცვანი,—20 კ.

მისამართი ფოსტით: „Тифлисъ, Кавказская книжная торговля“ С. И. Грикуровой. 608



# ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარდამ ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9 1/2 ს.-10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა; სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11 1/2 ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11 1/2 ს.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11 1/2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**მ. ვ. კლდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი· აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

## წამლობა „606“-ით

1462

დოქტორი მედიცინისა

## გ. ა. ახვერდოვი,

**პეტერბურგის** სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს სიშარდის, ვენერიულსა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 10—11 ს., საღ. 6—8 ს. **სემიონოვის ქ.**, № 18, (ვორონცოვის ძეგლის ახლოვ.), ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 159

**გამოვიდა და იყიდება**

ყველა წიგნის მაღაზიაში

**გ. ძამუკოვის ლექსები**

## ზმა ცხოვრებისა,

ფასი 25 კაპ. 612


# ტფილისი, 8 სექტემბერი

**მეფის მოადგილის მოხსენება და რუსეთის პრესა.**

მეფის მოადგილის უქვეშევრდომილესმა მოხსენებამ, რომლის ზოგიერთი ადგილები სატახტო გაზეთმა გამოაქვეყნეს, რუსეთის პრესა აალაპარაკა. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა ერთნაირად არ შეჰხვდა ამ მოხსენებას. ზოგი სიამოვნებით მიეგება მეფის მოადგილის მოხსენებას და ლიბერალურად ჩასთვალა იგი, ზოგი კი სკეპტიკურ კილოზე აალაპარაკა. ორივე შემთხვევაში ერთმა გარემოებამ იჩინა თავი: რუსეთის საზოგადოებას ძალიან ნაკლებად სცნობია ამიერ-კავკასია, ძალიან ნაკლებადა სცნობია, რანაირია თავისი შინაგანი თვისებებით სისტემა მეფის მოადგილის მართვა-გამგეობისა. დღევანდელ ჩვენს გაზეთში, მაგალითად, დაბეჭდილია წერილი „ნოვოე ვრემია“-ს პუბლიცისტის მენშიკოვისა, რომელიც ზრდილობიანად, მაგრამ მაინც სასტიკად ჰგმობს გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის უქვეშევრდომილეს მოხსენებას და აღნიშნავს, რომ ეს მოხსენება სიმართლით არ გადმოგვცემს ამიერ კავკასიის სინამდვილესაო. მენშიკოვს არ მოსწონს განსაკუთრებით ის, რომ მეფის მოადგილე კავკასიელ ერთა სეპარატიზმს უარჰყოფს. ამასთანავე ერთად ირკვევა, რომ „ნოვოე ვრემია“-ს პუბლიცისტს თავისებურად ესმის ცნება „სეპარატიზმი“. როდესაც მეფის მოადგილე კავკასიელ ერთა სეპარატიზმის შესახებ ლაპარაკობს, ცხადია, მას მხედველობაში აქვს პოლიტიკური სეპარატიზმი. ეს ცნება კი ცხადი და გამორკვეულია. სეპარატიზმი ნიშნავს გამოყოფვას, განცალკევებას. ასეთი სეპარატიზმი, მართლაც, კავკასიელ ერთა შორის არ არსებობს, და მეფის მოადგილესაც თამამად შეეძლო ეთქვა, ქართველები და სომხები სეპარატისტები არ არიანო. მაგრამ მენშიკოვს კულტურული განკერძოვება, სურვილი თავისი საკუთარი ეროვნული ინდივიდუალობის შენარჩუნებისა სეპარატიზმად მიაჩნია. ასეთი განკერძოვება სეპარატისტულია იმდენად, რამდენადაც სხვა და სხვა ერთა შორის ისტორიულად წარმოშობილი განსხვავება არსებობს და რამდენადაც თვითოეულ ერს თანდაყოლილი აქვს ბუნებრივი და სამართლიანი სურვილი განსაკუთრებული სახის შენარჩუნებისა. სრულს ჭეშმარიტებას ამბობს მენშიკოვი, როდესაც ამტკიცებს, ისტორიული ტრადიციების მქონე ერმა შეუძლებელია ერთბაშად დაივიწყოს თავისი თავი, უარი სთქვას ინდივიდუალურ კულტურაზეო. როგორ შეიძლება ქართველებს დაავიწყოთ, რომ ქართველები არიან, ჰქონდეთ საკუთარი კულტურა, რომელსაც ეხლაც ანვითარებენ და შემდეგშიაც განავითარებენ? მაგრამ ეს განა იმასა ნიშნავს, რომ ქართველები სეპარატისტები არიან, რუსეთისაგან პოლიტიკურ განცალკევებას მოითხოვენ? სრულიადაც არა. ერი შეიძლება ერად დარჩეს, მის კულტურულ ძალთა განვითარებას ფართო ასპარეზი მიეცეს, მაგრამ ამასთანავე ერთად რუსეთის სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად დარჩეს. ამ აზრს ვერ შეითვისებს მხოლოდ ის, ვის თვალშიაც არა-რუსები რუსეთის სწორ-უფლებიანი წევრები არ არიან.

მეორეს მხრით, ისინიცა სცდებიან, ვისაც ჰგონია, რომ მეფის მოადგილის მართვა-გამგეობის სისტემა არსებითად რითიმე განსხვავდება ცენტრალურ მთავრობის პოლიტიკისაგან. მართალია, მეფის მოადგილე თავის მოხსენებაში ცენტრალურ მთავრობას უსაყვედურებს, რეფორმების განხორციელების საქმეში წინ მეღობებაო, მაგრამ ეს საყვედური არსებითად არაფერსა სცვლის. მეფის მოადგილე იმდენად დიდი უფლებებითაა აღჭურვილი, რასაც თვით გრაფი ვორონცოვ-დაშკოვიც აღნიშნავს, რომ მას შეეძლო შესამჩნევი გავლენა მოეხდინა ცენტრალურ მთავრობაზე და ადგილობრივადაც ისე წარემართა საქმე, როგორც თვითონ საჭიროდ დაინახავდა. ასეც იქცეოდა. მისი სისტემა მართვა-გამგეობისა არსებითად ცენტრალურ მთავრობის სურვილებს ეთანხმებოდა და აღწევდა იმავ მიზანს, რასაც ცენტრალური მთავრობა ისახავდა. დრო დადგება, და ხასიათი ამ სისტემისა უფრო ნათლად გადაიშლება მკვლევარის თვალ-წინ. მაშინ უფრო ცხადი გახდება, რომ ბევრში სცდებოდნენ ის გაზეთები, რომელთაც ჰგონიათ, რომ მეფის მოადგილის პოლიტიკა უფრო ლიბერალურია, ვიდრე ცენტრალური მთავრობისა.

# ქართული პრესა

გაზეთ „იმერეთში“ დაბეჭდილია ბ-ნ ახალგაზრდა მკითხველის მოგონებანი იმის შესახებ, თუ რანაირი შთაბეჭდილება მოახდინა ილია ჭავჭავაძის მოკვლის ამბავმა ახალგაზრდებზე.

„13—14 წლის ძლივს ვიქნებოდი აგვისტოს უკანასკნელი დღე იყო. რამდენიმე მოსწავლე ტოლ-ამხანაგი, მინდვრათ, ხის ჩრდილში ვიჯექით და ამხანაგს ველოდით, რომელსაც ბურთი უნდა მოეტანა, რომ საღამოს პირათ თამაში გავვემართა. მის მოსვლამდე კი, რომ არ მოგვწყენოდა ცეკვა-თამაში და სიმღერა გავაწყეთ. აი, მზეც საკმაოდ გადაიხარა და ამხანაგიც გამოჩნდა; ჩვენ ყველანი წამოვიშალეთ და სირბილით მისკენ გავემართეთ.

— ახალი ამბავი გაიგეთ?—მოგვაძახა ახლად მოსულმა ამხანაგმა.

— არა! რა ამბავია?—ერთხმად შევძახეთ ჩვენ.

— ილია ჭავჭავაძე მოუკლავთ!

— დასტურ?!

— ღმერთმანი! ეხლა წაიკითხა ჩემმა ძმამ გაზეთში.

— ჰაა! ღირსი იყო, ახია!—წამოიძახა ერთმა.

— ეკადრებოდა, თუ მოუკლავთ. ის ბურჟუა იყო, ბურჟუები ყველა უნდა მოვკლათ!

— ბურჟუა კი არა, ბურჟუაზე უარესი იყო! იგი არ იყო, „კაზაკები“ რომ ჩამოიყვანა და გლეხები გაამათრახებინა. ახ! რომ შემძლებოდა, პირველად მე მოვკლავდი იმას!—გმირულად წამოვიძახე მე“.

ამ თავის მოგონებას ახალგაზრდა მკითხველი შემდეგის სიტყვებით ათავებს:

„ერთ დროს ბავშვის მოშხამული გული შემოტრიალდა და აწ ყოველი გრძნობით ზიზღს ვუცხადებ ძასა (მკვლელს) და მისს ბრმა ქომაგებს“.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

◆ **ტრამვაის მუშათა გაფიცვის გამო.** გაფიცვა კვლავ გრძელდება. 6 სექტემბერს ბრიუსელიდან ტრამვაის დირექტორმა ფ. ტახტაჯიანცმა დეპეშა მიიღო, რომლითაც უსახელო საზოგადოების საბჭო ადასტურებს წინანდელ დეპეშებს ზოგიერთ მუხლის დაკმაყოფილების შესახებ, კვლავ უარს ამბობს გაფიცვის დღეებში ჯამაგირის მიცემაზე და მუშაობის დასაწყებად ვადად უნიშნავს, ორშაბათს, 9 სექტემბერს. გუშინ, შუადღისას, ამ წინადადების განსახილველად ტრამვაის პარკში მუშათა კრება მოხდა.

◆ ქართულ სამეურნეო **საზოგადოების საბჭომ თავის უკანასკნელ კრებაზე გადასწყვიტა:** დაარსოს ფონდი, რათა ილა ივანეს ძის წინამძღვრიშვილის სახელობაზე დაარსდეს ერთი სტიპენდია სამეურნეო სწავლის დასამთავრებლად. სტიპენდია იგი მიეცემა ერთ-ერთ მოწაფეს წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლისას ქართ. სამეურნეო საზოგადოების ამორჩევით.

◆ **ტფილისის ქალთა უმაღლეს კურსებზე** ლექციების კითხვა დაიწყება 16 სექტემბერს. 7 სექტემბერს უკვე შესდგა ბუნებისმეტყველების ფაკულტეტის კრება, რომელზედაც მოსმენილ იქმნა დეპეშა ოდესის უნივერსიტეტის დამსახურებულ პროფესორის მელიქიშვილისა, რომ ის ტფილისს ჩამოვა და შეუდგება ლექციების კითხვას კურსებზე ოქტომბერში. ამ ხანად პროფესორი მელიქიშვილი სახელმწიფო ეგზამენების კომისიის თავმჯდომარედ არის დანიშნული სამინისტროს მიერ.

◆ **მფრინავი ბ. ქებურია იფრენს** დღეს, 8 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე, დიდუბეში, სადოღო მოედნის იქით. ქებურიას მანქანა სრულიად განუახლებია, მოტორის ზოგიერთი ნაწილი შეუკეთებია და პარასკევს, ცდის დროს, კარგად უფრენია.

◆ **გორის ეპისკოპოზი ანტონი** გუშინ კახეთს გაემგზავრა, სადაც ალავერდის დღეობას, 14 სექტემბერს, სწირავს; ტფილისს იგი 16 სექტემბერს დაბრუნდება.

◆ **ღვთისმშობლობა.** დღეს, 8 სექტემბერს, დიდუბის ღვთისმშობლის ტაძარი თვის დღესასწაულსა უქმობს. ტაძარში მწირველია საქართველოს საეგზარხოსოს დროებით მმართველი ეპისკოპოსი პიმენი.

◆ **ხოლერის მოლოდინში.** რადგანაც ქუთაისის გუბერნია და ბათომის ოლქი საშიშოდ იქმნა აღიარებული, ამიტომ მოქმედება დაიწყო ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარმა სასანიტარო-აღმასრულებელმა კომისიამ. პირველი კრება კომისიისა დანიშნულია ორშაბათ, 9 სექტემბრისთვის.

◆ **ქალაქის საელექტრონო სადგურის** დიზელების მუშაობა კვლავ მოუწესრიგებელია. იმედი ქვთ, ამ დღეებში მიაღწიონ დიზელების წესიერ მუშაობას. დიზელების მოუწყობლობის გამო ქალაქს დღემდე 80,000 მ. ზარალი აქვს. თუ ამ ერთს კვირაში დიზელები სრულიად არ იქმნა მოწესრიგებული, მაშინ ქალაქის გამგეობა წინადადებას მისცემს ნიკოლაევის ქარხანას, დიზელები სულ აიღოს და ახალი დადგას. ამასთანავე აზღვევინებს მთელ ზარალს.

◆ **ჭიათურის დრამატიულ დასის რეჟისორი.** ქ. ანდრონიკაშვილი ტფილისს ჩამოვიდა დასის შესავსებად. დავალება აქვს, დასში ორი მსახიობი კიდევ მიიწვიოს: ერთი ქალი და ერთი კაცი.

◆ **თავისუფალი სტიპენდია.** წელს ჩერნომორის სახელოსნო სასწავლებელს ათავებს ტფილისის გუბერნიის სტიპენდიანტი გიორგი არჩუაძე. ამის გამო ტფ. გუბერნატორმა წინადადება მისცა მაზრის უფროსებს, საჩქაროდ აცნობონ მას, არის თუ არა მათს მაზრაში ისეთი კანდიდატები, რომელსაც ამ სტიპენდიის მიღების უფლება აქვს.

## საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიის** კრება 6 სექტემბერს მოხდა. კრებამ განიხილა საქალაქო სკოლების ახალ შენობის გეგმები და ხარჯთ-აღრიცხვა. რადგანაც კომისიამ თვით ვერ მოასწრო საქმის ყოველ მხრივ გამოკვლევა ეს დაავალა საგანგებო მცირე კომისიას.

◆ **კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს კრება დანიშნულია 10 სექტემბრისთვის.

◆ **ქალაქის საბჭოს პირველი** მორიგი კრება ზაფხულის სეზონის შემდეგ დანიშნულია ორშაბათ, 9 სექტემბრისთვის. განსახილველ საგანთა სიაში შეტანილია 21 საქმე, მათ შორის: 1) ქალაქის გამგეობის მოხსენება 1914 წლისთვის სატრაქტირო გადასახადის განაწილების შესახებ, 2) ქალაქის იურისკონსულტად ნამყოფ ქანაროვის პრეტენზიები, 3) ქალაქის გამგეობის მოხსენება 13,300 მან. გადადების შესახებ დიდის მთავრის ქუჩაზე მტკვრის ჩამონგრეულ კედლის აღსადგენად, 4) სავალდებულო დადგენილებანი სატრაქტირო და სასმელ დაწესებულებათა მოვლა-შენახვის შესახებ, 5) სახელოსნო დაწესებულებათა მოსამსახურების წესიერ დასვენების პროექტი, 6) გამგეობის მოხსენება კავკასიის ქალთა საზოგადოებისთვის ნივთიერ დახმარების აღმოჩენის შესახებ, 7) დებულებანი იმ სტიპენდიებისა, რომელიც ტფ. სახელოსნო სასწავლებელში უნდა დაარსდეს ლ. ნ. ტოლსტოის სახელობაზე, 8) მოხსენება ლომბარდისა და სააუქციონო დარბაზის მოქმედების გაერთიანების შესახებ, 9) მიწის მიცემა ტფილისში განზრახულ საქალებო სამასწავლებლო ინსტიტუტისთვის, 10) ქალაქის კონტროლის დებულება და 10) ვერის ხიდის ზემოდ მტკვარზე საცალფეხო ხიდის გაკეთების შესახებ.

## სასწავლებლებში

◆ **ამაღლების საქალაქო სკოლაში** (სოლოლაკი, ჟუკოვის ქუჩა, № 13) წელს პარალელური განყოფილება იხსნება, რადგანაც სწავლის მსურველი ბევრია, რადგანაც ამ ჟამად შენობის შეკეთება სწარმოებს, სწავლა მხოლოდ 15 სექტემბერს დაიწყება.

◆ **მასწავლებლების დანიშვნა.** 6 სექტემბერს ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიის კრება მოხდა. კომისიამ მასწავლებლები დანიშნა თავისუფალ ადგილებზე. ვერის პირველ საქალაქო სკოლაში მასწავლებლის თანაშემწედ დანიშნა ქ-ნი ხლუსოვი, ვერის მესამე სკოლაში მასწავლებლის თანაშემწედ—ქ-ნი სერნიშევი, კუკიის მეოთხე სკოლის პარალელურ კლასში მასწავლებლად—ქ-ნი სტაროსელსკი, ვაგზლის სკოლაში—ქ-ნი მუხანოვი ნაცვლად კაშეევისა, რომელმაც სამსახურს თავი დაანება, ვერის მეორე სკოლაში მასწავლებლად ქ-ნი ჯაფარიძე ჩერქეზიშვილი ნაცვლად ნინო დიდიასი, რომელმაც სამსახურს თავი დაანება, ამავე სკოლაში მასწავლებლად—ქ-ნი კალანდარაშვილი-რევიჩი, თანაშემწედ—ქ-ნი პავლიაშვილი, ამავ სკოლის მასწავლებლის თანაშემწე ქ-ნი ფავლენიშვილი იქვე მასწავლებლად (ნაცვლად ქ-ნ ჭიჭინაძისა, რომელმაც სამსახურს თავი დაანება), ხოლო თანაშემწედ—ქ-ნი ნაცვლიშვილი დ პუშკინის სახელობის პირველ სკოლაში მასწავლებლად ქ-ნი მაჩაბელი, ხოლო თანაშემწედ—ქ-ნი წულუკიძე.

## სასამართლო

◆ **თ-დ ფალავანდიშვილების საქმე,** რომელთაც თავდაცემა ბრალდებათ, 6 სექტემბრისთვის იყო დანიშნული ტფ. ოლქის სასამართლოში, მაგრამ ზოგიერთ მოწმეების დაუსწრებლობის გამო, სხვა დროისთვის გადაიდო.

# კავკასიის იდილია

ამ სათაურით „ნოვოე ვრემია“-ში დაბეჭდილია მენშიკოვის წერილი. იგი კავკასიის მეფის მოადგილის უქვეშევრდომილეს მოხსენებას არჩევს და მრავალ საკითხებში არ ეთანხმება. მოგვყავს ზოგიერთი დამახასიათებელი ადგილები. მეფის მოადგილე თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ, მიუხედავად, სხვა და სხვა რევოლიუციონურ პარტიათა არსებობისა, კავკასიის ერთა ლოიალიზმი მაინც ეჭვს გარეშეაო. მენშიკოვი გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის ამ რწმენას ოპტიმისტურად სთვლის და ცდილობს დაამტკიცოს, რომ შეუძლებელია კავკასიის ერები სეპარატისტები არ იყვნენ. უპირველესად ყოვლისა ეხება მაჰმადიანებს და ამბობს, მარტო სარწმუნოებრივი სხვა და სხვაობაა თავმდები იმისი, რომ შეუძლებელია მაჰმადიანები ისეთივე ერთგული ქვეშევრდომები იყვნენ რუსის მეფისა, რანაირიც თვით რუსები არიანო. შემდეგ მენშიკოვი ქართველებსა და სომხებს ეხება.

„ქართველებთანა და სომხებთან საერთო სარწმუნოება გვაერთებს,—სწერს მენშიკოვი,—თუმცა არა სავსებით ჩვენი მართლმადიდებელი სარწმუნოება. სამაგიეროდ გვყოფს ისტორია დ გეოგრაფია, სისხლი და ენა. დასასრულ, გვყოფს ის გარემოება, რომ რუსეთი ჰპატრონობს იმ ტერიტორიას, რომელზედაც ოდესღაც ქართველებისა დ სომხების სამეფოები არსებობდა. მახლობელ წარსულში ქართველებისა და სომხებისა იქნება მადლიერნიც იყვნენ რუსეთისა, რადგანაც ახსოვდათ, როგორ იცავდა რუსეთი მათ სპარსელებსა, ქურთებსა და მაჰმადიან მთიელებისაგან. მაგრამ ეს ისტორიული დახმარება დიდი ხანია დავიწყებულია. მემკვიდრეობით კი გადაეცა ის ფაქტი, რომ რუსეთმა დაიფარა კავკასიის ქრისტიანები, მაგრამ მაინც თავისი ბატონობა განამტკიცა მათზე. ამას კი არ აპატიებენ ხოლმე არც დიდი არც პატარა ერები; რასაც პოლონეთისა და ფინლანდიის მაგალითი გვიმტკიცებს. მე არ ვამბობ, თითქოს ქართველებსა და სომხებსა ვძულდეთ, რადგანაც მათი გრძნობები ჩვენდამი ფრიად რთული და ჭრელია. კავკასიის მდაბიო ხალხი, ჩამქრალი პოლიტიკური თვითშეგნებით, ურიგდებოდა რუსის ბატონობას იმ დრომდე, სანამ სწამდა, რომ რუსეთი უძლეველია, უანგაროა და შეუძლიან ანარქიის მოსპობა. მაგრამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში რუსეთის პრესტიჟი, რწმენა მისი უძლეველობისა, რუსის დაბალ მოხელეთა უანგარობისა დაცემულია. რაიცა შეეხება სომხებისა და ქართველების ინტელიგენციას, იგი მთელი თავისი მსოფლ-მხედველობით ჩამოგვშორდა ჩვენ, ჩამოგვშორდა, როგორც ყველა „ინოროდცების“, და რუსის ინტელიგენციაც კი. საქმე ის არის, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წესწყობილება პრინციპიალურად ეწინაალმდეგება ინტელიგენტურ სულიერ განწყობილებას“.

ამის შემდეგ მენშიკოვი არკვევს, რა მიზეზები იწვევს მეფის მოადგილის ამ ოპტიმიზმს, აღნიშნავს, რომ იგი შედეგია გრაფ. ვორონცოვ-დაშკოვის პირადი თვისებებისა და შემდეგ გადადის იმ საკითხის გამორკვევაზე, არსებობს თუ არა ქართველებსა და სომხებში სეპარატიზმი.

„მე არ ვიცი, რას ეძახის მეფის მოადგილე სეპარატიზმს. თუ მას ჩვეულებრივად ავხსნით, თუ მივიღებთ, რომ სეპარატიზმია სურვილი თავისი საკუთარი ეროვნების, სარწმუნოების, კულტურის, ენის და, შეძლების დაგვარად, პოლიტიკურ თვითმმართველობის დაცვა, მაშინ როგორ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ კავკასიაში სეპარატიზმი არ არსებობს“?

ამის შემდეგ მეფის მოადგილე ეხება სომხების საკითხს და აღნიშნავს, სომხების ეკლესიას ეროვნული მნიშვნელობა აქვს, მათი პატრიარქი არჩეული მეთაურია სომხის ერისაო. სომხების ეკლესიას რომ მხოლოდ სარწმუნოებრივი მნიშვნელობა ჰქონოდა, საეკლესიო მამულების ჩამორთმევა აჯანყებას არ გამოიწვევდაო. ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ სომხების ეკლესიას ეროვნულ-პოლიტიკური მნიშვნელობაცა აქვსო.

მენშიკოვი გვპირდება, შემდეგ წერილებში კავკასიის იდილიის სხვა მხარეებსაც შევეხებიო.

# დღიური

### მოღალატეების თანაგრძნობა.

გუშინ-წინ გაზეთში ცნობა იყო დაბეჭდილი, რომ მზრუნველი გულდასმით და დიდხანს ესაუბრა ქუთაისის მასწავლებლებს ა. ოდიშარიას და ვლ. ნაცვლიშვილს საქალაქო სკოლებში მომხდარ ამბების გამო. ამავე დროს ისევ გრძელდება ქართული ენის დევნა ჩვენს სკოლებში, ისევ ავიწროებენ და ზღუდავენ ისედაც მიმქრალს და ქართული ენის მიწურულს უფლებას, თუ კი შეიძლება დღეს ჩვენი ენის რაიმე უფლების შესახებ ლაპარაკი. ქუთაისიდან გადმოიყვანეს ტფილისის გუბერნიაში სახალხო სკოლების დირექტორი, რომელიც აქ უკვე შესდგომია ქუთაისში ნაცად გეგმის განხორციელებას. ამის შედეგები, უეჭველია, მალე გამოქვეყნდება ყველას საგულისხმიეროდ—ზოგთა დასაამებლად, ზოგთა გასამწარებლად. ქუთაისის სკოლებში გადამგვარებელი მეთოდი სრულის უფლებითაა ისევ აღჭურვილი და მის საწინააღმდეგოდ ამოღებული სუსტი ხმა მთლად მიწყდა, აღარა ისმის რა. კავკავიდან ამბავი მოვიდა, რომ იქაურმა დირექტორმა პირდაპირ ომი გამოუცხადა ქართულს სკოლას—ამ ქართველების სათაყვანებელს სამლოცველოს და უნდა ქალაქის თვითმართველობაც კი ჩაითრიოს ბრძოლაში სკოლის მოსასპობად და გასანადგურებლად. სხვა ამგვარს ამბებს სხვა კუთხეებიდანაც მალე გავიგონებთ, მცირე მოთმინება ვიქონიოთ მხოლოდ...

მაგრამ ყოველივე ეს არ მაკვირვებს, არ მაშფოთებს, არ მაწინებს. მტერი რომ მტრულად მოვა, ეს თავისთავად ბუნებრივია, ეს სასოწარკვეთილებას არ იწვევს. პირიქით თავის დაცვის მოლოდინი სულს ამაღლებს, აცხოველებს და აკეთილშობილებს. სავალალო და სამწუხარო აქ ისაა, რომ ჩვენში მოისპო შეგნება მტრის მტრობისა და აღარსადაა თავის სახის დამცველი. დაქირავებული პირები, გარეშენი, უცხონი რომ ჩვენს გადაგვარებას ცდილობენ, ჩვენს დაჩაგვრას, ადამიანობის შელახვას, ჩვენს ეროვნებას რომ ფეხით სთელავენ, ენაზე მარწუხს გვადებენ, ხელფეხს გვიბორკავენ—ეს ასეც უნდა იყოს: დედამიწაზე რომ გავჩენილვართ, ჩვენ მუდამ ერთი ვიყავით და გარს უთვალავი მტერი, მძარცველი, მდევნელი, მომძლავრებული გვეხვია; ერთს ათასი გვცემდა, ათასი გვჩაგრავდა, გვაწიოკებდა. დღეს სატირალი, შემზარავი ისაა, რომ მოწინააღმდეგეს ვერ ვცნობთ, მის გზას ვარდითა და იით შევამკობთ და, სანამ იგი ხმალს ამოიღებდეს გასაგმირავად, ჩვენ ჩვენის ხელითვე გულგანგმირულნი მის ფერხთა წინაშე დავეცემით უსულონი!

მხოლოდ გლახაკს, შესაბრალის საპყარს არა ჰყავს მტერი. რომ გვმტრობენ—დაე გვემტრონ, გვებრძოლონ, გვეომონ. ვაი მარტო იმას, ვინც გაურბის ბრძოლას და ვაი იმ ერს, ვის ბანაკიდან მოღალატენი გარბიან მტრის რაზმის გასამაგრებლად. ჩვენს დედა ენას დაუძინებელი მტრები ჰყავს, რომელთაც სწყურიათ, მისი სახსენებელიც კი აღგავონ დედამიწის ზურგიდან. ამას პირდაპირ, წარბშეუხრელად, შეუდრეკელად უნდა ვუცქეროდეთ სახეში! ვიმეორებ: ეს არაა საშიში! ერის სული მიუვალი ციხეა; ერის გული ცეცხლია, რომელიც დასწვავს, დაადნობს ყოველს ძალმომრეობას და შევიწროვებას; ერის სახე წარუშლელია, რომელიც უხსოვარ დროთა გადალახავს; ერის სხეული განუკვეთელია, რომელსაც ვერავითარი რკინა და ფოლადი ვერ შეეხება—მაგრამ მაშინ, როდესაც ერი გამსჭვალულია თავის ეროვნულის სულის და გულის შეგნებით და პირადი ღირსება დაფასებულია და შეთვისებული.

მაშინ კი, როდესაც ერის შვილები თავის ღირსებას არა სცემენ პატივს; როდესაც ეროვნება კი არაა ძვირფასი, არამედ პირადი გამორჩენა და კეთილდღეობა; როდესაც გული ერის დასაცავად კი არა ჰფეთქს, არამედ კერძო, ლაჩრული არსებობისათვის; როდესაც მოღალატე შვილები იმას კი არ ჰფიქრობენ, რომ ეროვნება გაძლიერდეს, არამედ იმას, რომ ჩვენ არა დაგვიშავდეს რა,—მაშინ ერის ციხე შერყეულია, მისი საძირკველი დაზიანებულია, მისი კედლები დარღვეულია—მტერი გამცემი შიგაა დაბუდებული და ერის არსებობისათვის განსაცდელია გამზადებული.

ჩვენი დედა-ენის ბედს ვერც ვინმე დირექტორი, ვერც იმაზე მაღალი და უმაღლესი ვერაფერს დააკლებს. ჩვენი ენის ბედი თუ უბედობა უცხოელების, გარეშეების ხელში არც ყოფილა, არც არის. ჩვენი ენის აწმყო და მომავალი მხოლოდ ჩვენს საკუთარ ხალხშია: იგი აყვავდება, თუ ავაყვავებთ; იგი დაეცემა, თუ დავცემთ. თუ შევიყვარებთ, ძლიერებით შეიმოსება, თუ შევიძულებთ, დაეცემა, გაჰქრება, აღარ იცოცხლებს. ბევრჯერ აგვინიშნავს იმის მაგალითები, რომ ჩვენის შეგნებული თუ შეუგნებელი ღალატით, უპატივცემლობით, დაუდევრობით ძირს ვუთხრით თვითონ ჩვენს ეროვნებას, თვითონ მოვითხოვთ იმ უფლების გაუქმებას, რომელიც ლანდად შეგვრჩენია და მძიმე ტვირთის ქვეშ თუ გაგვჭირებია, მადლობა მიგვიძღვნია ბატონებისათვის...

ქუთაისის ეპარქიის სამოსწავლო საბჭოს თავმჯდომარემ ავერკიევმა წარუდგინა მოსაწონებლად და სახელმძღვანელო პროგრამად მისაღებად ოდესღაც სახელოვანის ვოსტორგოვის ჩვენდა საწინააღმდეგოდ შედგენილი გეგმა, რომელიც მოითხოვს, რომ რუსულს ენას პირველ სექტემბრიდანვე ჰქონდეს დათმობილი ცხრა გაკვეთილი და ქართული ენის გაკვეთილები კი რაც შეიძლება შემცირდეს. საბჭოს წევრები ქართველები არიან, რომელნიც თავის თავს, ალბად, მამულიშვილებს უწოდებენ, და როცა ქართული ენის მჭამელი პროგრამა განიხილეს, იმის მეტი ვერა მოახერხეს რა, რომ დაადგინეს: ჩვენ არ თანავუგრძნობთ ამ პროგრამას, მაგრამ რადგან ბატონს მეთვალყურეს სწადია მისა განხორციელება, ჩვენც ვეთანხმებით—დაიჩაგროს ქართული ენა, გადაგვარდეს ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა, დაიწიხლოს ქართული ეროვნებაო...

რა ზიზღით, შეჩვენებით, სიძულვილით უნდა მოიხსენიოს შეგნებულმა საზოგადოებამ ამგვარ დაცემული მოღალატე თანამემამულეთა სამარცხვინო საქციელი! რა სისწრაფით უნდა გამორიცხოს ისინი თავისი წრიდან! რა ხმამაღლა უნდა ამცნოს ყველას მათი შერცხვენილი სახელი და გვარები!... მაგრამ ჩვენ განა რასმე ვიტყვით ქუთაისელ გმირების წინააღმდეგ? არა! ისინი ჩვენთან არიან, ჩვენც მათთან ვართ—ერთის სისხლისა და ხორცისანი ვართ, ერთად ვჭედავთ ჩვენს ვაგლახს ბედს!

ქართულ ენას სდევნიან, ქართულ ეროვნებას პატივს არა სცემენო—ვინ, ვინ?

**სიტყვა.**

## რამ გამოიწვია ტფილისის ტრამვაის მუშათა გაფიცვა?

ტფილისის ტრამვაის მუშათა გაფიცვას თავისი მოკლე წარსული აქვს.

ცნობილმა ბატაილმა, რომელმაც მკაცრი იერიში მიიტანა ტრამვაის მუშებზე, რათა დაერღვია მათში ერთსულოვნება, და საშუალება მისცემოდა, ჩამოერთმია ტრამვაის მუშებისათვის ის უფლებები, რომელიც მოიპოვეს საერთო მოძრაობის დროს, 1909 წ. შეადგინა ახალი ინსტრუქცია და წარუდგინა მუშებს. მუშებში, რასაკვირველია, დიდი უკმაყოფილება და ყოყმანი გამოიწვია ახალმა ინსტრუქციამ და უარი განუცხადეს დირექციას: თანახმად ახალი ინსტრუქციისა შეუძლებლად ვსცნობთ მუშაობასო, მაგრამ, როგორც ზევით ვსთქვით, თავისი მკაცრი იერიშის მიტანით მუშებზე ბა-ნმა ბატაილმა გავლენა მოახდინა და მოსპო მათში ხასიათის სიმტკიცე, დაარღვია ერთსულოვნება მუშებისა და ამით შესძლო თავისი განზრახვების განხორციელება და პოლიტიკის გატარება! ამასთანავე, რასაკვირველია, გარეშე პირობებიც ხელს უწყობდა ბელგიის „უსახელო საზოგადოების“ „ნაპალეონს“, რათა უფრო მაგრად დაეტუქსა და დაემორჩილებია მუშები. და აკი მიაღწია მიზანს კიდეც. ისე გაათამამა და გაიტაცა ქენიანობამ (?), რომ მუშების საწინააღმდეგოდ აღარაფერს აღარ მოერიდა, რასაც მოჰყვა ვერის დაღმართზე გულის ამაშფოთებელი კატასტროფა, რომლის შესახებ მკითხველმა საზოგადოებამაც კარგად უწყის. ბ. ბატაილის შემდეგ ტფილისის ტრამვაის დირექტორად დაინიშნა ბა-ნი ბელოი. მუშები სიხარულით შეხვდნენ ახალი დირექტორის დანიშვნას.

ყველას ეგონა, რომ ბ. ბელოი საერთოდ ტრამვაის მუშების მდგომარეობას გააუმჯობესებდა და უფრო კარგ პირობებში მოაქცევდა მათ, მაგრამ მწარედ მოსტყუვდნენ. ბ. ბელოიმ არამც თუ გააუმჯობესა მუშების მდგომარეობა, არამედ ხელი შეუწყო და უფრო განავითარა ბატაილის ცნობილი პოლიტიკა.

სიმართლე მოითხოვს ვსთქვათ, რომ ინჟინერი ბელოი უფრო მკაცრი ადმინისტრატორი გამოდგა ბატაილზე. მოსვლისთანავე მან გამოაკრა მკაცრი შინაარსიანი ბრძანებანი, სადაც ემუქრებოდა მუშებს დათხოვნით და ჯარიმების გადიდებით. დაიბარა თავისთან ყველა კანტრალიორი და უბრძანა მათ, რაც შეიძლება რაპორტები მეტი დაეწერათ და წარედგინათ დირექციისათვის.—თითოეულს კანტრალიორს დავალებული ჰქონდა კვირაში ხუთი რაპორტის წარდგენა,—უკეთუ ხუთ რაპორტს ვერ წარუდგენდა ერთი კვირის განმავლობაში, მაშინ დაიბარებდა დირექტორი და პასუხს მოსთხოვდა: „რა არის მიზეზი, რაპორტების რიცხვი, რომ ვერ შეგიგროვებიათო“? და აძლევდა წინადადებას:—ეს პირველი და, უკანასკნელია და თუ კიდევ გაიმეორე ეს დანაშაული, (?) იმ შემთხვევაში კონდუქტორად იმუშავებო“. ამ წინადადების შემდეგ თვით მკითხველიც კარგად მიხვდება — როგორ უნდა მოქცეულიყვნენ კანტრალიორები, რა „სამართლიანობის“ გზას უნდა დასდგომოდნენ, რომ აეცილებინათ თავიდან ბა-ნი დირექტორის მუქარა. ბ.ბ. კანტრალიორებმა აღარ დაინდეს თავისი ხელქვეითი მოსამსახურები, სულ უბრალო „შეცდომებიც“ კი აღარ აპატიეს და გაახშირეს რაპორტების წერა, რათა მოეგოთ დირექციის გული, რასაც მოჰყვა აუარებელი ჯარიმები და უსამართლოდ დათხოვნა კონდუქტორებისა და ვატმანებისა. რასაკვირველია, აქ ბრალი დირექტორს ედება და არა კანტროლიორებს, იმიტომ რომ დირექტორმა შექმნა ამისთანა ატმოსფერა მუშების ცხოვრებაში და კანტრალიორებს რა უნდა ექნათ?

აი, ამითი აიხსნება ის გარემოება, რომ ხშირად მგზავრსა და კონდუქტორს შორის უკმაყოფილება ხდება ხოლმე, რადგან კონდუქტორს ეშინია თავისი მკაცრი უფროსის, ის იძულებული ხდება მგზავრთან სხვანაირად მოიქცეს. ხშირად არის, მაგალითად, კონდუქტორს ერთსა და იმავე მგზავრისთვის ორჯერ-სამჯერ მიუმართავს და შეჰკითხვია—„ბილეთი მიიღეთ, თუ არაო“, რაზედაც მგზავრს ირონიულად გაუცია პასუხი:—„რა ქვიანი მოსამსახურები ჰყავს ტფილისის ტრამვაის დირექციას! ეხლა არ მომეცით ბილეთი“-ო? ან კიდევ მაგალითად, მგზავრმა ბილეთი მიიღო, ხოლო ხელიდან გავარდა უეცრად, ან ქარმა მოსტაცა, და დარჩა უბილეთოდ; კანტროლმა ნახა, რომ იგი უბილეთოდ ზის. ამისთანა შემთხვევაშიაც კი პასუხს აგებს კონდუქტორი დირექციის წინაშე. მოკლედ, ბატონ ბელოის შემოღებულმა წესებმა, რომელსაც სისტემატიურად ანვითარებდა მოსამსახურეთა შორის დაჰბადა მგზავრებისა და ტრამვაის მოსამსახურეთა შორის შუღლი და სიმძულვარი. ბევრჯერ შეკრებილან ხოლმე ტრამვაის მუშები და ჰქონიათ მსჯელობა იმაზე, თუ რა გზით შეიძლება ამისთანა წესებს დააღწიოს ტრამვაის მუშებმა თავი. ბევრჯერ უთქვამთ ერთმანეთისათვის გულის რკენით—თუ როგორის თვალით უცქერის მათ ტფილისის საზოგადოება—მგზავრები, თუ როგორი საზიზღარნი არიან ისინი მგზავრების შეხედულობით. მაგრამ ღმერთი-რჯული, ასეთი ადამიანები ჩვენ არა ვართ—ჩვენშიაც არის ადამიანური გრძნობა და სინიდისი, ჩვენცა გვაქვს თავმოყვარეობა. ჩვენ თუ ასე ვექცევით მგზავრებს, ეს გამოიწვია ტრამვაის მკაცრმა დისციპლინამ და არა ჩვენმა „უსინიდისობამ და უზრდელობამ“, როგორც ეს ბევრსა ჰგონია. მოიგონეთ, თუნდ ბ.ბ. კანანოვისა და ინჟინერ ბელოის მიერ გამოცემული ახალი ტარიფი, თუ რა უკმაყოფილება გამოიწვია ტფილისის მცხოვრებლებში. აქ, რასაკვირველია, უმრავლესობა მგზავრებისა კონდუქტორებზე იყრიდა გულის ჯავრს. ვინ იცის, რამდენი უსიამოვნება და დამცირება შეხვედრია კონდუქტორებს ამ ახალი ტარიფის გამო! აი, ამაზედაა ნათქვამი ქართული ანდაზა—„აქლემები წაიჩხუბნენ, კოზაკი შუაში გაჰკულიტესო“. ბატაილის გამოცემულ ინსტრუქციაშია ნათქვამი — „მუშებს ჯამაგირი მოემატოს დირექციის მიხედულობითო“. აგერ ოთხი წელიწადი გავიდა მის შემდეგ, რაც ბატაილი წავიდა აქედან და ბ. ბელოის ერთხელაც არ მოსვლია აზრად, რომ ჯამაგირები მოემატებია მოსამსახურეებისათვის. არიან ისეთები, რომლებიც სამი-ოთხი წელიწადია მანეთად მუშაობენ დღეში. ეს ფულიც არ შეუძლიან ტრამვაის მოსამსახურემ მიიღოს მთლად, რადგან კვირა არ გაივლის, რომ არ დააჯარიმოს იგი დირექციამ. მე მგონია არცერთ დაწესებულებაში არ ხდება ის, რაც ტრამვაიშია. თვე არ გაივლის ისე, რომ ორმა და სამმა მუშამ არ დაანებოს სამსახურს თავი. ტრამვაიზე მუშაობა ყველამ კარგად უწყის თუ, რა მძიმე და სახიფათოა. ისეთი მცირე ჯამაგირით, რა ჯამაგირსაც დღეს ტრამვაის მუშა იღებს, შეუძლებელია მუშაობა, რადგან მას ვერ დაუკმაყოფილებია თვით საარსებო მოთხოვნილებაც კი. დრო გამოიცვალა, ის ცოდნა და სწავლა აწ ის იარაღი, რომელიც ადრე იყო ხმარებაში, დღეს აღარ არის გამოსადეგი, მასთან ცხოვრება გართულდა: ხორცი და პური გაძვირდა, ბინის ქირამ საგრძნობლად იმატა.

ამ სამი თვის წინად, როდესაც ბატონი რასინი მოვიდა აქ, მუშებმა ასწერეს თავიანთი გაჭირვება და წარუდგინეს მას. მუშები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რასინი შევიდოდა მუშების მდგომარეობაში და დააკმაყოფილებდა მათ სამართლიან მოთხოვნილებას, მაგრამ აქაც მოტყუებულნი დარჩნენ. ბატონმა რასინმა, ვითომ, ერთი მუხლი „დააკმაყოფილა“ მუშების მოთხოვნილებისა, სახელდობრ, უფასო საოჯახო ბილეთები დაუთმო დილის რვა საათიდან დილის ათ საათამდე, ათი საათის შემდეგ კი აღარ შეეძლოთ ბილეთებით სარგებლობა.

ჩვენც გვაწუხებს შიმშილი და წყურვილი, ჩვენცა ვგრძნობთ სიცივეს და სიცხეს და რატომ არ უნდა შევიდნენ ჩვენს მდგომარეობაში?

„ჩვენც ვურევვართ (?) კაცებში, ხალხში.

ჭამა-სმა გვინდა, გვინდა ცხოვრებაო“,

სთქვა მგოსანმა.

**ქ. დიმელი.**

## ხიზნობის გამო

არჩ. ჯ—შვილმა „სახალ. გაზეთ“-ში, აგრეთვე „თემმა“ და დასელებმა დაჰგმეს და უარჰყვეს „კლდე“-ს პოზიცია ხიზანთა მდგომარეობის მოსპობის საკითხში. ჟურნალ „კლდეს“ პირველი გამოლაშქრება ჩხეიძის წინააღმდეგ № 10-ში ბ. ფარის სახით ყველას რეაქციონურად ეჩვენა.

ბ-ნ ფარის წერილმა პრესსა აახმაურა, ირკვევა ყველაფერი „სახალხო გაზეთი“ არ. ჯ—შვილის სახით დგება თავის პოზიციაზე და ყველას გვეგონა: „კლდე“ ან შესცვლის თავის ძველს აზრს და დაადგება ნამდვილ დემოკრატიულ შეხედულებას და ან იარაღს დაჰყრის... მაგრამ იგი დღესაც მე-30 №-ში ამბობს: ხიზანთა საკითხში „სახ. გაზეთი“... თ. ღლონტის პირით იმეორებს ჩვენს წინააღმდეგ ისეთსავე ცილსა (sic!—თ. ღ.), რომლისთვისაც არ. ჯ—შვილს აქამდე ვერ მოუცილებია მიღებული ეპიტეტი“-ო. 1) აშკარაა, „კლდე“-ს გამარჯვებულად მოაქვს თავი და თან კიდევ გვეკითხება და წინადადებას გვაძლევს: დავამტკიცოთ, რომ იგი იცავს ხიზანთა ინსტიტუტს, რომ მისი ნაბიჯი რეაქციონურია და ბოლოს, რომ „კლდე“-მ გადაამახინჯა ხიზანთა საკითხში არჩილ ჯორჯაძის აზრები.

სიამოვნებით ვიღებ კალამს, რომ ერთხელ კიდევ შევეხოთ ამ ძნელს საკითხს. ალ. ყიფშიძის მსგავსად, ჩვენც წავიმძღვარებთ წინ რომაელთა თქმულებას: **sine ira et studio**. როგორც დემაგოგიურ, ისე დოგმატიურ ელემენტების მსჯელობაში შეტანა არა სასურველად მიგვაჩნია. ამიტომ საგანს სერიოზულად შევეხოთ.

რას წარმოადგენს ხიზნობა? რა არის, ვინ არის ხიზანი?

არ. ჯ—შვილი მოწინავეებში და ჩვენ ფელეტონებში ვამტკიცებდით: ხიზნობა ბატონ-ყმურ წყობილების ნაშთია, იგი ამ წყობილების ერთი ატრიბუტია. მაგრამ, წარმოიდგინეთ, „კლდე“-ში ბ. რ. გ. ამბობს: „ხიზანთა ინსტიტუტს ბ. არჩ. ჯ—შვილი **ბატონ-ყმურ ნაშთს უწოდებს**. ამით ამტკიცებს იმას, რომ არც ბატონყმობა ესმის რა არის და არც ხიზნობა. 2) ამნაირად ხიზნობა ბატონყმობის ნაშთი არაა. „ა. ყიფშიძე ამტკიცებს, რომ ბატონ-ყმობასა და ხიზნებს შორის დიდი განსხვავებაა. ბატონ-ყმობა, როგორც თვით სიტყვაც ამტკიცებს, **იძულებითი** დამოკიდებულება იყო... ხიზნობა კი იძულებითი დამოკიდებულება **არ არის**. ხიზნობა თავისუფალი ხელშეკრულებაა მემამულესა და გლეხს შორის.“ 3)

შეუძლებელია აზრი, დებულება, ამაზე მკაფიოდ გამოიხატოს. აქედან ვხედავთ, რომ ხიზანი **ყმა** არაა, ის **თავისუფალი** ადამიანია, რომელიც მემამულეს მიწას იყენებს **ხელშეკრულობით**. ეგ ხელშეკრულობა არ საზღვრავს და არ ამცირებს ხიზანის პიროვნულ ინტერესებს. ა. ყიფშიძე ამბობს: „**რა პირობითაც** უნდა ყოფილიყო ასეთი შეხიზვნა და პატრონობის მოპოვება, **ხიზნობის მაძიებარი კაცი პირად თავისუფლებას არა ჰკარგავდა. როდესაც მოისურვებდა, მაშინ წავიდოდა ხიზანი.** ხელის შემშლელი და დამტუქსავი არავინ ჰყავდა“. 4) ეგ ხიზნები მოდიან გლეხებიდან, ყმებიდგან. როცა მემამულეს, სახელმწიფოს, ეკლესიას მამული ცოტა ჰქონდა და ყმები კი ბევრი ჰყავნდა, მაშინ მაგალითად „ეკლესია **ყმის** დასაპურებლად. შესაძლებლად სცნობდა ყმა აბარგულიყო ეკლესია-მონასტრის მამულ-დედულიდგან და შეხიზნებოდა დიდ მემამულეს“. ან კიდევ: „ზოგ მემამულეს **ყმა** ბლომად ჰყავდა, მაგრამ მამული ცოტა ჰქონდა. ასეთ მდგომარეობაში **ყმა** იძულებული იყო სხვაგან გადავარდნილიყო და ეშოვნა მამული, რომ ცოლ-შვილი გამოეკვება“. 5)

როგორც მკითხველი ხედავს, აქ ლაპარაკი იმ ნამდვილ ხიზანზეა, რომელსაც „ისტორიულ ხიზანს“ უწოდებენ. თ. იოსებ ციციშვილის აზრით დღეს ისტორიული ხიზნები აღარ არსებობენ. ახალი ხიზნები კი არიან ისინი, რომელნიც დასახლდნენ ჩვენში 1832 ან 1864 წლის საგლეხო რეფორმამდე. 6) ეგ „ისტორიული ხიზნები“ ა. ყიფშიძის კონცეპციით, რომელსაც აღიარებდა უწინ ილია ჭავჭავაძე, ქრისტეფორე ვერმიშევი და სხვა მემამულენი, წარმოსდგა გაჭირვებულ გლეხ-ყმებისაგან. ასე რომ ეგ ინსტიტუტი ეკუთვნის ბატონ-ყმობისა და ბატონ-ყმობის შემდგომ ხანას. როგორც ვიცით, ბატონ-ყმობის წარმოშობას თავისი ისტორია აქვს, ჩვენში ამ წყობილების წარმოშობის ისტორია შესანიშნავად დაგვიხატა პროფესორმა ალექსანდრე ხახანაშვილმა, რომლის ნაშრომი „ბატონ ყმობა საქართველო“-ში დღემდე დაურღვეველია. როგორც ამ თხზულებაში, ისე სხვა წყაროებიდგან ვიცით, რომ ბატონ-ყმობა დამკვიდრდა თავისუფალ ნანგრევებზე, რაიცა გამოიწვია ეკონომიურ და სხ. საზოგადო ხასიათის პირობების განვითარებამ. ეს წინასწარი ხანა ბატონ-ყმობისა უფრო ლმობიერი იყო, ბატონ-ყმობა არ იყო თავის კლასიკურ ფორმებში ჩამოყალიბებული და ამ დროს ალბუღას კანონებიც პართლა (?) გამოხატავს მაშინდელს ლოიალურს განწყობილებას საზოგადოების სხვა და სხვა წრეებს შორის. მაგრამ, რაკი ბატონ-ყმობას საფუძველი ჩაეყარა, იგი უნდა მომწიფებულიყო, მას კლასიკური ფორმები უნდა მიეღო, ცხოვრებაში უნდა განხორციელებულიყო მთელი სიმკაცრენი და საშინელებანი ამ დროისა, ამ ხანას უნდა არარად გარდაექცია ადამიანი, იგი უბრალო ნივთი-და შექმნილიყო. და, მართლაც, პრაქტიკამ, ცხოვრებამ განავითარა იგი. როგორც მოგეხსენებათ, ამ დროს ნამდვილი გამომსახველი გახლავთ კანონმდებელი ვახტანგი, რომელსაც ყველანი კაცთ-მოყვარე ადამიანადა რაცხს. ეს დროა მე-XVII და მე-XVIII საუკუნე. ხიზნობაც ამ დროში გაჩნდა, იგი დაიბადა შეუძლო გლეხ-ყმებიდგან და, აი, ალექსანდრე ყიფშიძე, სხვა მებატონე-მეპატრონეები და ბ. რ. გ. გვეუბნება ახლა: ამ დროში ხიზანი **თავის უფალი** ადამიანი იყოო. ბატონ-ყმობის ხანამ იცის ორი ძალა, მამულიანი ხალხი და უმამულო ხალხი. პირველი გაბატონებულია პოლიტიკურად და ყოველის მხრივ, მეორე დამონავებულია ყოველის მხრივ. პირველია მემამულე-მთავრობა-უმაღლესი თავადნი, შემდეგ ჩვეულებრივი თავად-აზნაურობა, ეკლესია-სამღვდელოება, ხოლო მათ წინააღმდეგ მასსა-გლეხობა. ამათ გარდა თავისუფალს ჩვენ ვხედავთ მოვაჭრეებს, რომელთაც რიცხვი მეტად მცირეა და რომელთაც განსაკუთრებით მფარველობდნენ მე-XVIII-საუკუნის მეფენი თვით ერეკლე მე-II-მდე. გლეხკაციდან, ყმიდან, როგორც მწარმოებლიდგან (ხიზანი ხომ უპირველეს ყოვლისა მწარმოებელია) თავისუფალი წოდება ხიზნობა არ შემდგარა ჩვენში. ეგეთ თავისუფლების შოვნა ყმას ბატონ-ყმობაში სრულებით არ შეუძლიან, იგი ბატონ-ყმობის თვით ბუნებას ეწინააღმდეგება. ასეთი ხალხი ვიცით ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალისტურ ხანაში, რომელთაც ეწოდება პროლეტარიატი.

ა. ყიფშიძე ერთიანად ადათ-ჩვეულებებს ეყრდნობა. ამ უკანასკნელს უდიდესი მნიშვნელობა პირველყოფილ საზოგადოებაში აქვს, ისეთ ხანაში, როცა ადათ-ჩვეულებათა, წესების განსახიერება კანონებით არ ყალიბდება ცხოვრებაში. ადათ ჩვეულებებს უფლებრივ სახელმწიფოში ნაკლები ადგილი აქვს დაკავებული და რამდენათაც კულტურულია ერი, იმდენათვე იგი ცდილობს გამოურკვეველ არსების მტკიცე ფორმებში ჩასხმას. მე-XVII—XVIII საუკუნეში ბატონ-ყმობა არ კმაყოფილდებოდა მარტო ადათ-ჩვეულებებით. ეს ჩვეულებანი იქ უმთავრესად ვახტანგის კანონში განხორციელდა. როცა ჩვეულებად გახდა მემამულე-ბატონის მორჩილება, ძღვენის მირთმევა და სხ. იგი შემდეგში განმტკიცდა და კანონად გარდაიქცა. ვახტანგის კანონები გამოხატავს ბატონ-ყმობის უმთავრეს განწყობილებებს. იგი კარგა გვიხსნის ბატონის, მთავრობის, ეკლესიის და ყმათა სხვა და სხვა ჯგუფის ინტერეს-უფლება-ვალდებულებათ. შეუძლებელია ვახტანგს მხედველობიდგან გამოეშვა ხიზანთა სვე-ბედი. ის გარემოება, რომ ვახტანგი არსად იხსენიებს სიტყვა „ხიზანს“ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ სხვა სიტყვით ვახტანგი არ გამოიყვანდა ხიზნებსაც. ვახტანგი ხშირად ლაპარაკობს მაგალ. **თავის ნებით ყმად შესულზე**. თუმცა არაა გარკვეული ამ ჯურის ყმის ვალდებულებანი, მაგრამ ალ. ხახანაშვილი ხსნის ამ კატეგორიის ყმათა ბედს სიგელებისა და გუჯრების შემწეობით. საკვირველია ალ. ყიფშიძე რად არ იყენებს ამ მასალებს? თუ იგი მასალები არ შეეხებიან ხიზნებს? ჩვენ უკვე ვიცით, რას წარმოადგენს ხიზნობა და ხიზნები. გავიხსენოთ: ხიზნები არიან უმამულო პატრონების ყმები, რომელნიც გადადიან მამულიან პატრონატის ხელში მიწის საწარმოებლად. ამ გლეხს ყმას (ხიზნობით გაადამიანებულს, ხომ ბ. რ. გ.?) აქვს შერჩენილი ზოგიერთი უფლებები... ეხლა აიღეთ ხახანაშვილი და გამოიცანით ვინ არიან ეგ „ყმები“. „**თავის ნებით შესულს** ყმას ეძლევა ბატონისაგან პირობა, რომ იგი მოექცევა „კანონიერად და სამართლიანად“ (Крестьян. гр. გვ. 49), შეინახავს კარგად და უვნებლად“ 7) ამ კატეგორიის ყმებს უფლება ჰქონდა ერთი ბატონისაგან მეორესთან გადასვლისა. „ჩვეულება თავის ნებით ყმად შესვლისა—გადასვლა ერთი ბატონისაგან მეორესთან—რომლის შესახებ გვაქვს ცნობა ალბუღას კანონებიდან—პრაქტიკულს ცხოვრებაში გავრცელებული იყო. თავის ნებით შესულსა და აგრეთვე ნაბოძებს ჰქონდა უფლება, ტრადიციით მინიჭებული, დაენებებია თავი ბატონისათვის, თუ იგი აწუხებდა მეტის გადასახადით და გადასულიყო სხვის მამულში ან ყმადვე **ანუ ყმისა და მოიჯარადრეს შუა მდგომარეობა დაეჭირა, გამხდარიყო ხიზნად**. (Кр. гр. გვ. 2949 8). ხახანაშვილი ყველაზე სიფხიზლით და მეცნიერულად აღწევს სინამდვილეს. ხიზანი მისი აზრით არაა მოიჯარადრე. და გლეხი მოიჯარადრე მაშინ არც შეიძლებოდა არსებულიყო, რადგან მოიჯარადრეობა ჰგულისხმობს ორს თანაბარს, სწორუფლებიან ინდივიდუუმებს, რასაც ფაქტიურად და იურიდიულ-ფორმალურად არ წარმოადგენდა მაშინდელი ყმებისაგან გამოსული, მამულს მოკლებული, გლეხი. ხიზანი ხშირად უარეს ყოფაშიც იყო, ვინემ ტიპიური ყმა დასახლებული ბატონის მამულ-დედულზე, მისი ყოველივე ბატონის არის, მაგრამ ამ შემთხვევაში

1) იხ. ჟურნალი „კლდე“ № 30—1913 წ.

2) „კლდე“ № 18 „დაჟინებული დემოკრატიზმი“. გვ. 9 სვეტი პირველი.

3) ibid.

4) იხ. „წარსული, აწმყო და მომავალი ხიზნობისა“—„კლდე“ № 15. კურსივი ჩვენია. თ. ღ.

5) ა. ყიფშიძე, „კლდე“ № 16. კურსივი ჩვენია თ. ღ.

6) ibid, № 20. გრობმანის მიერ მოწვეული კრების ანგარიში ჩვენც გვქონდა მოყვანილი. უფრო დაწვრილებით ეხება მას ა. ყიფშიძე.

7) ა. ხახანაშვილი „ბატონ-ყმობა საქართველოში“, გვ. 36—37.

8) ibid.

## პატარა ფელეტონი

### ღიმ-მორეული ფიქრები

**მიწიერი პოლიციელი და ზეციერი ბიუროკრატი.**

საშუალო საუკუნოებში იტალიაში შინაური ბრძოლა იყო გაჩაღებული: რომის პაპის მომხრენი, გველფები იბრძოდნენ რომის იმპერატორის მომხრეთ, გიბელინებს, ბრძანე-

ბლობისათვის. იმ დროინდელმა მემატიანემ აღნიშნა ეს დაუსრულებელი ბრძოლა ძველ ხელნაწერში და მახვილად დასძინა: იტალიელებმა ფარული განზრახვით დაისვეს ორი მბრძანებელიო; ისინი ერთმანეთთან ბრძოლას მოუნდებიან და ამასობაში ჩვენ არცერთი მბრძანებელი არ გვეყოლებაო.

მოსკოვის გუბერნიის სამაზრო ქალაქ ბრონიცის გამგე პოლიციელი ოდინცოვი ისტორიაში ფრიად ნაკითხი გვამია, რასაკვირველია. ამიტომ იმან ძველ იტალიელ მბრძანებელთა გამოცდილებით ისარგებლა და სამაზრო ქალაქი ბრონიცა საკუთრად თავის საბრძანებლად გამოჰყო. დღეს იქ მოცილედ არავინ ჰყავს და ბრონიცას მცხოვრებელთა ყოფა-ქცევისა და ბედის საქმე მხოლოდ მას უპყრია ხელთ.

ადგილობრივმა ექიმმა ხარიტონოვმა, ალბად, კარგად ვერ შეიგნო ეს ისტორიული მოვლენა და თავის სახლში, ოდინცოვის დაუკითხავად, სტუმრად ამხანაგი ექიმები დაჰპატიჟა. გამოცხადდა ბრონიცის ბრძანება-მიუთხრობელი გამგე თავის ამალით ხარიტონოვის სახლში, იმისი სტუმრები გარეკა და მასპინძელს გამოუცხადა: „დღეიდან, თუ ვისმე დაპატიჟებას ისურვებ, ნებართვა ჩემგან უნდა აიღოო“.

რა უნდა ექნა საწყალ ხარიტონოვს? დაემორჩილა გადაუვალ ისტორიულ კანონს და მხოლოდ გაბედა ამ ამბის შეტყობინება მოსკოვის გუბერნიის საერობო გამგეობისთვის, რომლის სამსახურშიც იგი ექიმად ითვლება. ჩვეულებისამებრ, საერობო გამგეობა შეეკითხება სადაც ჯერ არს და, რასაკვირველია, ჩვეულებრივ პასუხს მიიღებს: „რუსეთის თითოეული ქვეშევრდომი ამ იმპერიაში სხვებისაგან განცალკევებით მოვლენილ არსებად ითვლება მთავრობის თვალში, მთავრობის ერთგულ მარტოობაში უნდა განვლოს დღენი ცხოვრებისა თვისისა და, თუ ძალიან მოსწყინდა და სტუმრების დაპატიჟება ისურვა, წვეულება პოლიციელის დასწრებით უნდა მოახდინოსო, რომლის მოვალეობაა ჩააგონოს თითოეულ სტუმარს, რომ იგიც სხვებივით იმპერიის განმარტოებულ ერთგულ ქვეშევრდომად ითვლება და ამის დაგვარად სხვებთან კავშირის გარეშე უნდა ექიროს თავიო. ნადიმიდანაც უნდა განდევნილი იქნას ყოველივე საერთო. მაგალითად, არ უნდა მოერთვას სტუმრებს, ყველას საერთოდ შემწვარი ბატი, ქათამი, ან ინდაური, არამედ მზარეულმა წინდაწინ უნდა გაჰყოს შემწვარის მხარ-ბარკალი-კურტუმ-კისერი და მოსამსახურემ ცალკ-ცალკე უნდა მიართვას ეს ნაჭრები მოწვეულ სტუმრებს. იმპერიის დიდებული მთლიანობა ერთეულ ქვეშევრდომთა სრულ განცალკევებას მოითხოვს!

ამ ბოლოდროს მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რომ ქ. ბრონიცის გამგე პოლიციელი ბრწყინვალედ იღვწის ადგილობრივ ქვეშევრდომთა სავსებით განცალკევებისათვის. იმისი ღვაწლის დიდებულ დაგვირგვინებას მხოლოდ ერთი აბეზარი დაწესებულება უშლის ხელს: ქ. ბრონიცის შუა ბაზარში ქალაქის გამგეობისაგან ამართული საჭირო ალაგი, სადაც ხალხი ერთად, ბლომად წინდაწინვე პოლიციაში გამოუცხადებლად შედის. ადგილობრივმკვიდრთა ერთგულ ქვეშევრდომობის მესვეური, როგორც იუწყებიან, ამჟამად სჩხრეკს ძველ ისტორიულ მატიანეებს იმის შესატყობად, თუ როგორ იქცეოდნენ ამისთანა გასაჭირში ძველი დროის მბრძანებლები. ზარ დაცემული ქალაქის გამგეობა დღე-დღეზე ელის მისგან განკარგულებას, რათა შუა ბაზარში ამართული საერთო დაწესებულებს პაწ-პაწია განყოფილებათ დაჰყოს, იმ განზრახვით, რომ იქაც თითოეული ერთგული ქვეშევრდომი სხვებისაგან განცალკევებით იყოს.

ქ. ბრონიცის თვითმპყრობელ პოლიციელს ოდინცოვს პეტერბურგის სახელგანთქმულმა შიშკევიჩმა აჯობა წინდახედული გამჭრიახობით. რაც უნდა იყოს, ოდინცოვის სამსახური ერთობ თავსატეხი მოვალეობა: ყველა მკვიდრის ყოფა-ქცევისათვის მუდამ-ჟამს თვალ-ყურის დევნებაა. შიშკევიჩმა უკეთესი, უფრო მყუდრო უშფოთველი ადგილი ჩაიგდო ხელში: დედამიწიდან ზეცის გამგეობა. იგი დაინიშნა პეტერბურგის ჰაერში მფრინავთა განყოფილების უფროსად, ისე... რომ ჰაერში აფრენა ერთხელაც არ დასჭირვებია. შიშკევიჩი მყუდროდ იჯდა თავის კაბინეტში და ქაღალდებზე ერთი კალმის მოსმით ჰაერში სამხედრო ფრენას განაგებდა. ამ ადგილის შოვნა იმიტომ მოახერხა შიშკევიჩმა, რომ იმ დროს უფრო დაბალი „ჩინი“ ჰქონდა. როცა უმაღლესი ხარისხი მიიღო ეს, ადგილიც დაჰკარგა და მის დასაბრუნებლად ვერაფერი გამჭრიახობა ვერ გამოიჩინა.

შიშკევიჩმა ფიზიკური კანონი გამოსცადა, რომლის ძალით მსუბუქ ადამიანს მაღლა აფრენა ეადვილება. აეროპლანს ჩასჭიდა ხელი, რომელმაც იგი უმაღლეს ხარისხამდე ააფრინა, შემდეგ ხელიდან გაუშვა, ახლა უჩემოდ ცის სივრცეში თავიც გიტეხიაო, და მყუდრო კაბინეტში მოიკალათა.

ეს მსუყე ადგილი თურმე იმიტომ ჩაიგდო ასე ადვილად ხელში, რომ მოცილე არავინ ჰყავდა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ჰაერში მფრინავთა განყოფილების უფროსობისათვის ჰაერში ფრენის ცოდნა იყო საჭირო. ეს ახალი გარემოება, ახალი სამსახური იყო, რომელმაც თბილი ადგილის მონატრული მოხელეები კალაპოტიდან ამოაგდო, იმათ პირად გამოცდილებით კარგად იცოდნენ, რომ დედამიწაზე მბრძანებლობისათვის მიწიერ საქმეთა ცოდნა სრულებით არ სჭიროდათ. ახლა კი საქმე სულ სხვანაირად დატრიალდა, სულ სხვა სფეროს, ზეცას შეეხო; ისინიც დაიბნენ. ნატკეპნი მიწიერი გზით მოსიარულე მოხელის გონება, ზეციურ გამჭრიახობას, აბა, საიდან გამოიჩენდა!

ამ დაბნეულობით მარჯვედ ისარგებლა მხოლოდ ერთად-ერთმა კაცმა—შიშკევიჩმა. იმან კარგად იცოდა, რომ რუსეთის ზეციური საქმეებიც იმავე რუსეთის უცოდინარმა მიწიერმა მოხელეებმა უნდა განაგონ, ამიტომ მსწრაფლ ჩაიგდო ეს თბილი ადგილი ხელში.

შემდეგ თბილი ადგილის მონატრულმა მოხელე ხალხმა შენიშნა, რომ შიშკევიჩი, რომელმაც უკვე უმაღლესი „ჩინი“ მიიღო, მუდამ ჟამს თავის კაბინეტში მყუდროდ ზის და ჰაერში საფრენად და თავსატეხად სხვებს ჰგზავნის. მაშინ ერთბაშად გონება გაუნათლდა ამ მსუნაგ ხალხს, მიხვდა რა შეცდომა მოუვიდა, შიშკევიჩზე ცხარე იერიში მიიტანა და თბილ ადგილიდან ძირს ჩამოაგდო. იმანაც ვერაფერი წინააღმდეგობა გაუწია, ხელიდან ვერ გაუსხლტა, რადგან უმაღლესმა ხარისხმა ერთობ დაამძიმა.

**ილია ნაკაშიძე.**

## ჩრდილოეთ კავკასიის აგარაკები

(მასში მომუშავე და მოაგარაკე ქართველობა და რუსეთის მცხოვრებთა აზრი კავკასიაზე—ქართველებზე).

ოთხივე კურორტი—პიატიგორსკი, ესენთუკი, კისლოვოდსკი და ჟელეზნოვოდსკი—სისწრაფით იზრდება ® დიდ ძალ ხალხს იზიდავს რუსეთის ყოველი მხრიდან.

ესენთუკმა, ხომ ყველას გადააჭარბა და წელს მოაგარაკეთა რიცხვ 15 ათასს აღემატებოდა. ამის ერთ-ერთ მიზეზად ისიც ჩაითვლება, რომ წელს ცნობილი „ჩვიდმეტი ნუმრის“ მსგავსი წყარო აღმოაჩინეს, რის გამო შესაძლებელი შეიქნა დიდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

ეს აგარაკები მთავრობას ეკუთვნის და ყოველი წეს-რიგი, მოწყობილება—ბიუროკრატულია. მთავრობა, ვითომ რაც შეიძლება ცდილობს კურორტების ევროპიულ გემოზე მოწყობას, რისთვისაც შარშან რამდენიმე მილიონი გადადვა, მაგრამ ბიუროკრატიის წისქვილი წელა ფქვავს და შეძლებული ნაწილი უფრო საზღვარ გარეთულ აგარაკებს იტანება—შედარებით იაფსა და მოწესრიგებულს. ამის მთქმელს, მაგონდება ჩვენი კუთხის აგარაკები: აბასთუმან ბორჯომ-ბაკურიან-ბახმარო და მრავალი სხვა, რომელნიც ღვთის ანაბარად არიან მიგდებული და არა თუ ვინმე ცდილობს მათს გაუმჯობესებას-მისი გულიდან ამონაგლეჯ სიმდიდრის ნაწილსაც არ უბრუნებს. ხელმოკლე კაცისთვის ყოვლად შეუძლებელია აქ ექიმობა. სეზონის გახსნამდე, ჯერ კიდევ ზამთარში, შეიარაღებული ათასნაირ ხრიკებით-წყლის მთავრობა, სახლის პატრონი, პროფესორი, ექიმი, მეაფთიაქე ჩასაფრებული, გულის ძგერით უდარაჯებს საცოდავ მსხვერპლს-მოაგარაკეს. გაიხსნება სეზონი, გახურდება მარცვა-გლეჯა. ვილა არჩევს-„კუპჩიხას“, შრომისაგან დაღლილ მასწავლებელ ქალისაგან; მრეწველს-პრესის მუშაკისაგან, ბობოლას საშუალო მოქალაქისგან. ერთ პროფესორს, ფინჯაზე, ოქროს თუმანი აქვს გამოსახული, რითაც უტყვად ამცნევს თვის პაციენტებს, რომ სადარბაზო სასყიდელი თუმნით განიზომებაო.

აქაური კურორტების ბუნების სიმდიდრე მხოლოდ სამკურნალო წყლებით განისაზღვრება—ნარზანი, ესენთუკის „მეოთხე და მეჩვიდმეტე ნუმრები“, ჟელეზნოვოდსკის რკინის წყლები ® პიატიგორსკის გოგირდის აბანო. ტყით,—ფიჭვნარით, მუხნარით, ნაძვით, ჩქარი მდინარით ძალზე ღარიბია და, რაც არის, ისიც თითქმის ხელოვნურია, ხოლო თუ ხალხი ბლომად ეტანება, ეს მით აიხსნება, რომ რუსებისათვის აქ უფრო ადვილია მოსვლა სიახლოვის გამო. გარდა ამისა, ყოველი რუსი, ნამეტურ ინტელიგენცია—შენატრის ზღაპრული კავკასიის ნახვას. მათი აზრით, კავკასია, ბუნებით მდიდარი—წყაროების, ბუჩქების, თვალუწვდენელ კლდეების, ხოლო ნახევრად ველურების ქვეყანაა, სადაც რუსი-ევროპიელი (!) ბევრ საინტერესო პირველ-ყოფილ მასალას იპოვნის.

შვიდი წლის განმავლობაში აქ რუსეთის ყოველი ნათელი და ყრუ კუთხიდან შემხვედრია: მოაგარაკე, მგზავრი, მწერალი, მსახიობი, დეპუტატი და არც ერთ მათგანთაგან სწორი მსჯელობა კავკასიელებზე არ მომისმენია.

ან კი რა საჭიროა კავკასიის „სამასი“ ერის ისტორიის ცოდნა? ისტორია ხომ რიურიკიდან იწყება და ტიმოშკინზე თავდება. „იქ ლხინი და აქ ქირი“, მორჩა და გათავდა.

ჩამოვლენ უსუსურნი, ეგოიზმით გაღლენთილნი, ძვიერ ბალინჯოსავით ფუსფუსობენ, ყველაფერი უნდათ მოითვისონ, ჩაკბინონ. ან და ჩქარი მატარებლით (მოსკოვ-ბათომი და უკან) გამოისეირნებენ, რამოდენიმე სადგურზე ჩაის დალევენ, ხანდახან ვაგონის ფანჯრიდან თავს გამოჰყოფენ, შირიხინდებიან შინ და გამოაცხობენ ზღაპრებს ჩვენს შესახებ.

—

ქართველობა სააგარაკოდ ცოტა მოდის, რადგან თავის სამშობლოში ბლომად აქვთ საგრილო, სამკურნალო ადგილები; სამაგიეროდ ბლომად არის გაფანტული ქართველი მოიჯარადრე, ვაჭარი, მოხელე, ლაქია და სხვა. დიდ საჭიროებას წარმოადგენს ქართული სკოლის, სამკითხველოს დაარსება პიატიგორსკში, მაგრამ ვინ არის მოთავე, ან დამხმარე.

—

ხშირად გაიგონებთ ეროვნების დახასიათებას. სომეხი და ებრაელი ხომ გულს ურევს რუსს.

თქვენ ვინა ხართ?

— ქართველი.

— Ох, какой славный народъ! ჩვენ ქალაქში ბევრი ქართველი სტუდენტობაა, ოჰ! რა მხიარული ხალხია.

— მითხარით, გეთაყვა, სად ცხოვრობენ ქართველები, ან სად არის ეს „გრუზია?“ ან რა რჯული აქვთ?

ძალა-უნებურად მხრები უნდა ასწიო და, ყოველივე ლაპარაკს სურვილს მოკლებულმა, უნდა დაუწყო ახსნა, თუმცა ნამდვილად იცი, რომ ყურადღებით არც ახლა მოგისმენს.

— ეს რა გაზეთია?—მეკითხება დეპუტატი ბუდრინი.

— ქართული.

— ნუ თუ ქართველებს ანბანიც გაქვთ და გაზეთებიც?

— რავა გეკადრება, მამაო! ერთი თუ ორი! და გადაუთვალე ძველი და ახალი.

მართლაც, ქართველი არავის არ „სძულს“, დროს გასატარებლად, საოხუნჯოდ ყველას მოსწონს—ებრაელ სიონისტს, სომეხ-დაშნაკცაკანს, რუსის-ესდეკს, ღენერალს, ვაჭარს ხოლო თუ ამ ხალხს, სულიერი, ან ხორციელი მოთხოვნილება აქვს, არავინ დაგიდევს. საკმარისია ქართველმა მოითხოვოს თავის მოქალაქობრივი უფლებები, ჩაიბას ვაჭრობა მრეწველობას მაშინ უნდა დაუგდოთ ყური მუსიკას... მაგრამ რას ვამბობ, რისი მოქალაქობრივი მოტივები! ქართველი ხომ სხვისი სარჩულია, მან ხომ თუთიყუშებივით უნდა იმეორონს—„სულ ერთია“, „მაინც შეერთდება“ და სხვა.

ეგებ თავად-აზნაურობა ამოიღებს ხმას? ის ბრწყინვალე წოდება, რომელიც მშრომელი ხალხის საარსებო მიწა-წყალს გადამთიელებს უგდებს ხელში, ხოლო ყველაფერზე გაჩუმებას და მორჩილებას ჰქადაგებს.

ქართველი ქალი? ეს ხომ უტყვი მოწმეა ჩვენი ეროვნული ტრაგედიისა! მაშ ვინ? ამას გრძნობ, სასოწარკვეთილს იმედის ნაპერწკალი გიჩნდება გულში—ეს ქართველი ტეტიაა, ერის მარილი, მშრომელი ხალხი, ყველაფერში ალალი, უდანაშაულო. მაგრამ აქაც ხომ ფეხს იკიდებს, აზრთა სიყალბე, პოლიტიკური ვერაგობა.

ენისა და ეროვნების დაცვა, რუსის ესდეკის, ბიუროკრატის, საკითხს არ შეადგენს. მათს ენას ორ იავიანი არწივი, ჯარი, ყაზახები იფარავს; ჩვენ კი დაბალ ღობედ მივაჩნივართ მომაკვდავ მოხელეთაც კი—კრუპსკების და გრომზდოვების სახით, რომელნიც მთავრობისაგან ნამოწყალებს, ნამცეცად არსებულ კანონსაც არ ემორჩილებიან. ასეთი უნუგეშოა ჩვენი ყოფა, როგორც შინ, საქართველოში, ისე აქ, განაპირა ადგილებშიაც

**მიხაკო ჩ—ძე.**

## ფოთის მომღერალთა გუნდი

ქ. ფოთში ამ ორი თვის წინად ა. მეგრელიძის ლოტბარობით შესდგა მომღერალთა გუნდი. გუნდში არის ოცდა-ათი კაცი, ყველა ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი, რაც გუნდი შვიდას მანეთზე მეტი დაუჯდა. გუნდს ქ. შ. წ.-კ. გამ. საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების გამგეობის მფარველობის ქვეშ იმყოფება. გუნდის მიზანს შეადგენს შეკრება ქართულ ხალხურ სიმღერათა და მათი შესწავლა. ამისათვის გუნდს ღრმად პატივსაცემმა მოღვაწემ ყოვლად სამღვდელო გურია ოდიშის მღვდელმთავარმა ლეონიდემ უთავაზა ფონოგრაფი, სიმღერების გადამღები აპარატი; ამ მეტად უხვ შემოწირულებისათვის გუნდის ყველა წევრი დიდად მადლიერია ყ-დ სამღვდელო ლეონიდესი. ფონოგრაფი შეძლებას მისცემს გუნდს, რაც შეიძლება, მეტი ახალი, ჯერ კიდევ ჩაუწერელი, სიმღერა შეისწავლოს, რადგან ფონოგრაფს სოფლად (გურია-ოდიშში, სადაც რთული და მაღალი ღირსების მელოდიური სიმღერებია გაფანტული) წაღება და სიმღერების გადაღება ადვილია, მით უმეტეს, გუნდის ხელმძღვანელი ა. მეგრელიძე კარგი მცოდნეა ქართულ ხალხურის—უმთავრესად გურულ-მეგრულ—სიმღერებისა და მათი სისწორით გადამღები. ეს გუნდი სხვა არსებულ მომღერალთა გუნდებისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი სწავლობს სიმღერებს გადაუკეთებლად გადაღებულს, ნამდვილს, სწორედ ისეთს, როგორსაც თვით ხალხში, სოფლად გაიგონებთ. ამაშია ორიგინალობა გუნდისა. ჯერ-ჯერობით გუნდმა

---

იგი უფრო ადვილად იტანს ბატონყმობის უღელს, ვინემ ხიზანი, ვინაიდან იგი იცნობს ერთ თავის ბატონპატრონს და სხვასთან მას საქმეც არა აქვს. ხიზანი კი ხშირად ნამდვილი ყმაა ერთი ბატონის და ღალა-კულუხის მიმცემი მეორესი. მოუსმინეთ „კლდე“-ს ავტორიტეტს, ბ. ა. ყიფშიძეს: „მცირე მამულიან მებატონეს რომ ყმა წაუვიდოდა და ხიზნად შეეფარებოდა სხვა მემამულეს, ამ დროს ამ ხიზანს **„ბატონყმური ანგარიში ძველ ბატონთან ჰქონდა, ხოლო სახიზნო მამულის პატრონს ემსახურებოდა, როგორც მამულის პატრონს“**[9]) ესე იგი, ხიზანი ნამდვილ ყმობასაც ეწევა და უანგარიშო მიწის მუშაობასაც. ცხადია, რომ ხიზნის მდგომარეობა პირდაპირ სავალალოა, მაგრამ ალ. ყიფშიძე, რომელიც ერთ სტატიაში ათასნაირ ერთი მეორეს საწინააღმდეგო ცნობებს ათავსებს, მაინც აქებს ხიზნობას, რადგანაც ხიზანი პირადად თავისუფალია მებატონესაგანო. მაგრამ სადაა ეგ თავისუფლება, როდესაც ხიზანი ძველ მებატონესაც ემსახურება?

ბატყონ-ყმობაში ყმა-გლეხის გათარხნება, განთავისუფლება დიდ რამეს ნიშნავდა. ხიზნობაც პიროვნულ თავისუფლების მომასწავებელია ა. ყიფშიძის კონცეპციით. მაგრამ თქვენ დახეთ, რომ ამ ხიზნებს არაფრად მიაჩნიათ ეგ ღირსება თავისი წოდებისა[10]). მიეცით მას მცირე ნივთიერი სალსარი, შეღავათი და იგი დიდის სიხარულით გემსახურება ნამდვილ ყმასავით. მან კარგად იცის, რომ იგი ყმისაგან არაფრით არ განსხვავდება, მდგომარეობას მასში არ განუვითარებია პატივისცემა თავის ვითომდა პატივსადებ წოდებისადმი და ამიტომ იგი არავითარ სათაკილო საქმეს არ არჩევს. როგორც ნამდვილი ყმა ასრულებს ყოველიფერ საქმეს. ხიზანი თუ მხოლოდ მიწის ამღები და დამამუშავებულია—ცხადია იგი უნდა იხდიდეს მხოლოდ ღალას და სხვა არაფერს. მაგრამ ასე არაა საქმე. მდიდარ მემამულეს ღალა არ აინტერესებს, მისთვის უმჯობესია, რომ ამ ხიზანმა **პირადი ხასიათის** მუშაობა გაუწიოს, ე. ი. ტიპიური ყმობა და აქას იგი ხიზანი სიამოვნებით ასრულებს. ა. ყიფშიძე ამბობს, რომ „იყვნენ ისეთი ხიზნები, რომელნიც მამულის პატრონს უნდა ჰხლებოდა ცხენით, როცა იგი ქალაქს წარბძანდებოდა, ან კიდევ უზანგი დაეჭირა მამულის პატრონისათვის, როდესაც იგი ცხენზე შეჰბრძანდებოდა“.[11]) ეგ უკვე პირადული სამსახურია. ნამდვილი ყმებიც ხომ ასეთ საქმეებს ასრულებდნენ? განსხვავება მათ შორის მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რომ ერთი სხვასაც ბევრს რასმეს აკეთებდეს, ხოლო მეორე კი ნაკლებად იყოს შევიწროვებული. მაგრამ არსებითად მდგომარეობა ერთნაირია. მით უმეტეს, ნამდვილ ყმებს შორისაც იყო სხვა და სხვა „უფლებობა“ ერთი ბევრს მუშაობდა, მეორე ნაკლებს. „თავისუფლად შესულსა“ და ნაბოძებ ყმას, მაგალ., ეძლეოდა მიწა, საქონელი, თესლი, ვენახი, წყალი, წისქვილი, კალო, მიწა ეძლეოდა სამკვიდროდ იმ უფლებით, რომ გაჰყიდონ კიდეც ბატონის თანხმობით“ (იხ. Док. гр. 23, кр. гр. გვ. 3. 7. 11. 52. церк. гудж. გვ. 7, 12, 52.) აქედან სჩანს, ამბობს ხახანაშვილი, რომ სახელმწიფო თავის ნებით შესულს არ უყურებდა ისე, როგორც ყმას. თვით ნაბოძები სდგას უკეთესს მდგომარეობაში, შედარებით ნასყიდთან“[12]) ხიზანზე უკეთესს მდგომარეობაში უნდა იყოს ეგ თავის ნებით შესული ყმა, ამას მთელი ინვენტარი ეძლევა და სხვა უფლებებიც. მაგრამ ვის მოუვა აზრად ამათი განსაკუთრებულ წოდებაში მოქცევა? ა. ხახანაშვილი ამბობს, ჩვენში სხვა და სხვა უფლების და მდგომარეობის ყმები იყვნენ, განსაკუთრებით ძველს დროში. მაგრამ ვახტანგი ყმებს შორის განსხვავებას შემდეგ აღარ ხედავს. ყველა ყმებზე „ერთი და იგივე წარმოდგენა გავრცელდა. ესენი (ყმები) მიდიოდნენ პირდაპირ ერთმანეთისაკენ: ერთი ჰკარგავს მცირე პიროვნულს უფლებას, მეორე იძენს. ცდილობდნენ თავისუფლებას, რომ ერთად შედუღებულთ დაჰბადონ ის ბატონ ყმობა, რომელიც მე-XVIII ს. მეფობდა“[13]) ცხოვრებაზე ნამდვილი შეხედულება თუ გინდათ ეს არის. ბატონ-ყმობის პირველ ხანში მის ბრჭყალებს მოექცა წრეები გლეხკაცობისა, მაგრამ ცხოვრების განვითარებით „რაკი ერთხელ გამოკვლეული იქნა ჩვეულება და კანონი ყმის შესახებ, იგივე წესი გავრცელდა **საერთოდ გლეხზე, რომელიც ბატონის მიწა-წყალზე სცხოვრობდა**“-ო—ამტკიცებს პროფესორი[14]).

ყმა-გლეხი, ხიზანი სცხოვრობს პატრონატის სამეფოში, გლეხის არც ერთ კატეგორიას არ შეუძლიან თავისუფლად იცხოვროს. ყოველი ჯურის გლეხი, ყმა, ხიზანი იძულებულია თავი შეაფაროს ბატონს და ამ უკანასკნელის სასარგებლოდ ერთნაირად თუ მეორენაირად იმუშაოს. ამ მუშაობის ხასიათი ტიპიური ბატონ-ყმურია და პირდაპირ საოცარია, როდესაც ხიზნობას ბ. რ. გ. ბატონ-ყმობას ნაშთად არა სთვლის. ნეტავი **მასალებით** აგვიხსნიდნენ რა ნაშთს წარმოადგენს იგი.

ყველა ხიზნების მდგომარეობა ერთნაირი არ იყო. ა. ყიფშიძე ამბობს: „მოვალეობა ხიზანისა მამულის-პატრონის წინაშე მრავალ-ფეროვანი იყო, ზოგან ცოტა, ზოგან მრავალი, ზოგან სუბუქი, ზოგან მძიმე და ზოგან, კიდევ სასაცილო (მაგრამ დიდად დამამცირებელი.-თ. ღ.), როგორიცაა მაგალ. ჭინჭრის დაჭერა... მაგრამ, რაკი მამულის პატრონი და ხიზნობის მქმნელი შესთანხმდნენ გარდასახადის რაოდენობაზე, შეუძლებელი იყო გარდასახადის გადიდება“.[15]) ის დებულება, რომ დადებული „ხელშეკრულობანი არ იცვლებოდა, მას იცავდა ადათი და ჩვეულებანიო“, ხშირად იმეორებს ა. ყიფშიძე, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ ლიტონი სიტყვებია, საბუთები, ფაქტები კი ხელუხლებელია. ბატონ-ყმობა, მთელი ჩვენი ცხოვრება ჩვენ აუარებელ კონკრეტიულ ფაქტებს გვაძლევს, რომ ცხოვრების განვითარებით, ცვლილებით იცვლებოდა ყოველივე, ადათიც, ჩვეულებანიც და ვალდებულებანიც. ალიბულს ყმას ნაკლები მოვალეობა აქვს კისერზე, მაგრამ იგი ვალდებულებანი გაიზარდა, მიიღო სამინელი სახე და ახალი ადათ-ჩვეულებით შეიმოსა, კანონადაც იქცა (ვახტანგის კანონები). მაგრამ მებატონეები უფ შირესად არც ადათს აქცევდნენ ყურადღებას, არც ჩვეულებას და არც კანონს. პირიქით კანონით არა ჰქონდა მებატონეს უფლება გაეყიდა ყმა, ეწვალებინა იგი, მაგრამ ყმებს კიდეც ჰყიდნენ და კიდეც აწვალებდნენ. აიღეთ ხახანაშვილის საკვლევი „გუჯრები“ ლამბაშიძის გამოცემა და თქვენ დაინახავთ, თუ რამდენად უყურადღებოთ სტოვებდნენ მებატონენი ადათ-კანონებს, რისთვისაც რისხვასა და შეჩვენებას უგზავნიდა მებატონეთ ეკლესიის ხალხი. პირდაპირ წარმოუდგენელია, რომ ყველა მებატონეს ერთნაირად ჰქონდა შეთვისებული ადათ-ჩვეულებანი და თავისი მოვალეობანი. გროსმანის მეორე კრებამ განა არ გამოაშკარავა აზრთა განსხვავებანი ბატონებში ამ საკითხზე? რა უფლების ძალით შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ ძველად, უფრო უკულტუროების ხანებში, უფრო მწიფედ იაზრებდნენ იგინი? და ბოლოს თვით ა. ყიფშიძეც კი აღიარებს: „მაინც-დამაინც, თუ რაიმე უსიამოვნება მოუვიდოდა ხიზანსა და მამულის პატრონს, ორივე მხარე მიჰმართავდა ხოლმე მედიატორებს და ესენიც მორიგებით ათავებდნენ იშვიათს სახიზო დავა-დარაბას.[16]) აქ ა. ყიფშიძე მეტის მეტად საინტერესო ამბავს აცხადებს. 1) აშკარავდება, რომ უსიამოვნება ძველად აც იყო ხიზან-ბატონებს შორის და 2) ამ უსიამოვნების გამოსარკვევად არსებობდა მედიატორული სასამართლო. პირველი—აშკარაა, ეს ფაქტია. მეორე კი ა. ყიფშიძის მიერ სრულიად დაუსაბუთებელია. ბატონ-ყმობის ისტორიიდანაც არ ვიცით აგეთი სამედიატორო ინსტიტუტის არსებობა, ბატონ-ყმობაში ვხედავთ სასამართლოს, მოსამართლეები არიან მეფეები და წარჩინებული წოდება. ხოლო გლეხების მხრივ რომ ყოფილიყვნენ მოსამართლეები, ეს ჩვენთვის ახალი ამბავია, ახალი ამბავია ყველასათვის და ა. ყიფშიძე მოვალეა შეგვასწავლოს ჩვენ ამის ფაქტები. მაგრამ ამის დამტკიცება შეუძლებელია. იგი ჰგულისხმობს წოდებათა უპირატესობის გაუქმებას, მოქალაქეობას, რაიც ბატონ-ყმობაში ერთიანად დათრგუნვილი იყო. კიდევ მოვითხოვთ „კლდის“ რედაქციისაგან ისტორიული მასალებით, გუჯრებით, სიგელებით დაამტკიცოს თავისი დებულება. ცალიერი სიტყვები მისაღები არაა.

ამნაირად, ხიზნობა ბატონ-ყმობის ნაშთია. ხიზანი ნამდვილი მუშა-მსახურია ბატონის, იგი ნამდვილი ყმაა. უფრო ლად უსაფუძვლო დებულებაა, როცა ა. ყიფშიძე ამბობს: „ხიზნობა მეტის-მეტად უბრალო, მარტივი, პატრიარქალური (?! თ. ღ.) და მამა-შვილური ინსტიტუტი ყოფილა“[17]) გეთანხმებით, რომ იგი მარტივი და უბრალოა, მაგრამ მამა-შვილობის კი რა მოგახსენოთ. ან და მამაშვილური განწყობილება იმას ნიშნავს, რომ ერთი მუდამ ემსახურებოდეს მეორეს? უბრალო რამაა, როცა ხიზანი ბატონს უზენგს უსწორებს და ცხენზე შესვამს, მაგრამ მოიყვანოს ა. ყიფშიძემ ფაქტები იმის მაჩვენებელი, რომ მამა (ბატონი) შვილსაც უწევდა ასეთ მცირედ სამსახურს. რა თქმა უნდა, ამის ფაქტებს იგინი ვერ მოიყვანენ. მემამულე აღჭურვილია სიმდიდრით, ამით იგი გაბატონებულია და ამა თუ იმ სახით იმსახურებს გლეხებს, აი, ბატონები, სინამდვილე ბატონ-ყმობისა. ხიზანიც მოსამსახურე გახლდა, მას სძულდა ხიზნობა, და როცა მესამოცე წლებში მის „ყურსას სმენისას“ მოესმა ხმა „ბორკილთა მტვრევის“, იგი „დაფაცურდა... წუნარი ხიზანი გალობდა, ადათი აღარ აკმაყოფილებდა (რომონდაც! თ. ღ.). ადათი რას მიქვიან, ქვეყანა განთავისუფლდა და მეც თავისუფალი ვარო“[18]). იგი გაურბოდა ხიზნობას, ხიზანს მოქალაქობრივი თავისუფლება სწყუროდა და როცა ა. ყიფშიძის ეუბნებოდნენ ხიზნები: „ბატონო, რა ყრია ხიზნობაში, წყალ-წაღებული ხაცსს ეჭიდებოდა, ჩვენც ისე მოგვივიდა. ჩვენ ხიზნობა კი არ გვინდა, მამული გვესაჭიროება, რაკი მამულს შევიძენთ საკუთრებათ და მოვისვენებთ, რა თავში ვიხლით ხიზნობას“[19]). ნუ თუ ეგ ხიზნები არა სცნობდნენ სინამდვილით თავის მდგომარეობას?

მერე აიღეთ თვით რეფორმის ხანა. საქართველოს თავად აზნაურობამ მეტად დიდი წინააღმდეგობა გაუწია რეფორმას,[20]) რამდენათაც შეიძლე-

9) „კლდე“ № 16. კურსივი ჩემია. თ. ღ.
10) ყიფშიძემ წოდებაში მოაქცია ხიზანი გლეხი. იგი ამბობს: „წოდებით თვით თავისუფალი ხიზანი—გლეხი“. № 6.
11) ibid.
12) ხახანაშვილი „ბატ.-ყმ. საქ.“ გვ. 37—38.
13) ibid, გვ. 44.
14) ibid, გვ. 45.
15) ა. ყიფშიძე—№ 16. გვ. 5.
16) ibid, № 15, გვ. 2.
17) ibid.
18) ibid, № 13, გვ. 4.
19) ibid, № 18, გვ. 7.
20) თავის დროზე „სახალხოში“ საგანგებო ფელეტონი გვქონდა ამ საგანზე.

მოასწრო და შეისწავლა 40-მდე სხვა და სხვა სიმღერა.

პირველი კონცერტი გაიმართა ქ. ფოთში წარსული თვის 11-ს და დიდი შთაბეჭდილებაც დასტოვა. ხალხი აუარებელი დაესწრო და ნასიამოვნები დაიშალა. შემდეგ ამისა გაიმართა კონცერტები: სამტრედიაში, ახალ-სენაკში და ბათომში; ყველგან მსმენლებს დიდი აღფრთოვანება ეტყობოდათ და, როგორც ლოტბარს, ისე გუნდს ოვაციებს უმართავდნენ. განზრახულია კონცერტები გაიმართოს: ქუთაისში, ტფილისში, ჭიათურაში, გორში, სოხუმში და სხვაგან.

გუნდის გამგეობას შეადგენენ: წ.-კ. გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგი (თავმჯდომ. გუნდის გამგეობისა) ჯ. ქავთარაძე, წ.-კ. საზ. წევრი გიორგი საბახტარიშვილი, ლოტბარი გუნდისა ა. მეგრელიძე და მომღერლები: თავ. ბ. ჩიჩუა, გ. თურქია, ბ. ნოდია და ლაზო გეგეჭკორი (მდივანი გამგეობისა) სულ შვიდი კაცი. ქავთარაძე და გ. საბახტარიშვილი დიდად ხელს უწყობენ გუნდის ნივთიერად უზრუნველყოფის საქმეს, რისთვისაც ისინი დიდი მადლობის ღირსნი არიან. ორგანიზაციული საქმე გუნდისა კარგად არის დაყენებული; საერთოდ გუნდი კარგი მომავლის იმედს იძლევა.

ვუსურვებთ გამარჯვებასა და წინსვლას. **ლეონარდო.**

# პროტესტების წინააღმდეგ

**(უკუღმართ პროტესტანტებს)**

ბატონებო! დიდიხანია თქვენი ბანაკიდან გაისმის საპროტესტო ხმა, დიდიხანია ისედაც წამებულ ილიას სახელს საფლავშიაც აღარ ასვენებთ და ბუკ-ნაღარით მოუწოდებთ ათას გულ-უბრყვილოთ მის ხელ-ახლად ჯვარს გასაკვრელად და საკუთარი ხორცის საკბენლად! კვლავ შეგინება! კვლავ უსირცხვილო შეურაცხყოფა! ერთი და იგივე სიტყვები, ერთი და იგივე შაბლონი, რომ... „მუშა ხალხი ვერასოდეს ვერ იქნება ნაციონალისტი, ვერასოდეს ვერ ჩაებმება იმათ ფერხულში, ვინც თავის ერის აღორძინებას სხვა ერის დაჩაგვრით ფიქრობს, ან ვისაც მხოლოდ თავის ერის საჭირბოროტო კითხვები აინტერესებს...“ („განთიადი“, № 20). ეროვნულ და ზნეობრივ იდეალთა აბუჩად აგდება და გათახსირება ამას იქით ველარ წავა! რა გნებავთ, რომ ამ მშრალს ფრაზებში არა სჩანდეს: ზნეობრივი სიკოტრე, გონებრივი სიკოტრე, თქვენი სიკოტრე ჩვენი ისტორიის ცოდნაში, რომ ჩვენ დაპყრობითი და სხვა ერების ჩანთქმის პოლიტიკას არასოდეს არცა ვდგომივართ, არც ვადგივართ, რომ მთელი ჩვენი ისტორია არის ისტორია მოგერებისა, რაინდული თავდაჭერისა... დღეს კი ჩვენ სამარცხვინოდ მიგვაჩნია „ერის საჭირბოროტო კითხვების ინტერესი!“ და ყველა ეს მაშინ, როდესაც ჩვენი ერი ბედის სასტიკი ხელით მოსწყდა თავის საკუთარ ისტორიულ მსვლელობას, საუკუნოებით ნაშენ ზნე-ჩვეულებას, პატივსა და ღირსებას... ეხლა ვრწმუნდებით, რომ ქვეყნიერებაზე თურმე არსებობს იმაზე მდაბალი ცნებაც კი, როგორიც არის **მონა** და **ტირანი!** ეს ახალი შემაძრწუნებელი ცნება გახლავთ **დეგენერატობა!** ეს ის დეგენერატობაა, რომელსაც სამშობლოს დამწუხრებული ზეწარი დაუფხრეწნია და ურცხვად მოუწოდებს ყველას გრძნობათა გასაქვავებლად, მანქანად გარდასაქმნელად, რომ ჩვენი სოციალური ცხოვრების ტრაგედია ვამხრწნელი სახით დავაგვირგვინოთ! ვერც ერთი პსიხოლოგიური ანალიზი, ვერც ერთი ისტორიული აუცილებლობა ვერ გაამართლებს მზგავსს გამოლაშქრებას, მზგავსს საქციელსა! ვაი, ამ ყოფას! მაგრამ კმარა! დრო არის, დრო ბოლო მოეღოს ამ საშინელს უგუნურებას! დრო არის ვისწავლოთ პატივსცემა ეროვნულ იდეალებისა, რათა მის ბაირახტართ კვლავ შუბლი ტყვიით არ გავუგმიროთ. დროა, ერთხელ და უკანასკნელად საზღვარი დაედოს მთელს ამ უკუღმართს ვაკხანალიას!

ს. ციციშვილი, სან. გძელიშვილი, ილიკო მასხარაშვილი, ვანო კვალიაშვილი, ალ. ბიბილეიშვილი, თ. რაზიკაშვილი, ა. მომცემლიძე, თ. მომცემლიძე, მ. კოშაძე, პ. სანაკოევი, ნ. თიბილაშვილი, ნ. ამაშუკელი, პ. მაჭავარიანი, ლ. გუგუთაშვილი, ა. ბეგოიძე, იას. ამაშუკელი, ისიდორე კობერიძე, ს. გეიშვილი, მარიამ ლანდიასი, ანა სიდამონოვისა, ი. ალავიძე, ი. მთიულიშვილი, ს. თვალიაშვილი, ს. ზარტიკოვი, თ. ცერცვაძე, ძ. გურული, მიხ. ხერხეულიძე, ლ. ტლაშაძე, დ. კასრაძე, ვლადიმერ გარსევანიშვილი, ნ. ა. ლომოური, ზ. ოქროპირიძე, ი. კერესელიძე, გ. რაზიკაშვილი, ნ. ზერეკიძე, გ. გოგიაშვილი.

# „ქართველთა გოლგოთა“

ებრაელთა მსწავლულებმა და სამღვდელოებამ გოლგოთაზე აწამეს ქრისტე. მათი ქადაგების მიზეზი იყო, რომ გოლგოთა წმინდა, სათაყვანო ადგილად გადაიქცა ყველა იმათთვის, (არა ქრისტიანეთათვისაც კი) ვისაც სწამს იდეისათვის ბრძოლა, სინათლით, ჯოჯოხეთური სიბნელის განფანტვა.

ქართველებს, ცხოვრების ნაძირალებმა, შეგვიქნეს ჩვენი გოლგოთა. აღვირ-წახსნილ ბნელი ძალების უგვანმა ურდომ წიწამურში აწამა ილია და ამიერიდან ეს ადგილი, სადაც დიდებული ქართველის უმანკო სისხლი დაიღვარა, უწმინდესი ადგილია ჩვენთვის, იგი „გოლგოთაა ქართველთათვის“.

ყოველ წელს, 29 აგვისტოს, ილიას წამების დღეს, მთელი ქართველობა უნდა იკრიბებოდეს ამ წმინდა ადგილას, სადაც დიდ კუნძში ჩარჭობილი უბრალო ხის ჯვარია აღმართული და მწუხარეთ დასცქერის იმ ქვას, რომელიც 1907 წლის 29 აგვისტოს წითლად შეიღება ქირნახული მამულიშვილის უმანკო სისხლით.

სამწუხაროდ, წელს ნათლად სჩანდა ამ ადგილისადმი ჩვენი გულ-გრილობა. მხოლოდ ოციოდე კაცი მივემგზავრებოდით იქითკენ, დაღვრემილები, დაფიქრიანებულები. წიწამურიდან ½ ვერსის მანძილზე, ილიას ბაღის თავში არის ძველი დუქნის ნანგრევები. მცხეთის ერთმა მცხოვრებმა აგვიხსნა, რომ ეს ნანგრევები ბევრს რასმე იტყვიან, რომ დუმილი მათი ხვედრი არ იყოსო. მისი სიტყვით, საზარელ ბოროტმოქმედების დღეს ილიას აქ ეტლი შეუჩერებია და მებაღე მოუხმია, გამოჰკითხავდა თურმე ამბებს. ამ დროს კი მცხეთის პირდაპირ არაგვს გაღმა მომუშავე გუთნებთან ერთი საგურამოელი ჩასულა და უთქვამს:

— ვერ გაიგეთ, ილია მოჰკლესო?

— რას ამბობ კაცო, როგორ თუ მოჰკლეს? სად, როდისაო? შეჰკითხებიან მეგუთნეები და გაქცეულან საგურამოსაკენ, მაგრამ ამ დუქანთან რომ მისულან, იქ დუქნის წინ, (მაშინ დუქანი დაკეტილი იყო), მჯდომი ილია უნახავთ და დარცხვენილები უკან დაბრუნებულან. არ გასულა 10—15 წუთი, რომ ილიას კეთილშობილური გულის ცემა ვერაგ ნაძირალათა მიერ გასროლილმა ტყვიამ განგმირა. ამ ამბავმა მეტად შეგვაშფოთა და წიწამურში ჩუმად მივედით.

წინამძღვრიანთ-კარის სკოლის მოწაფეებს ჯვარი საუცხოოდ შეემკოთ ძწვანითა და ყურძნის მტევნებით, შუაში ფოთლებით გამოყვანილი იყო ილიას ინიციალები „ი. ჭ.“ გარშემო ჯვარს ილიას მიერ დაარსებულ საგურამოს სკოლის მოწაფეები შემორტყმოდნენ შტოებით ხელში, იქვე შეგროვილიყვნენ ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი და ელოდნენ ტფილისელთა ჩასვლას.

პანაშვიდი გადავიხადეთ, კვლავ გაისმა „საუკუნოდ იყოს“, მაგრამ განა საჭირო იყო ამის თქმა! ვინც კი ქართველია, ვინც კი ილიას იცნობს, მას გულში ილიას ხსენება საუკუნოდ დარჩება: ნამდვილ ადამიანების გულში ეს ხსოვნა—სასოებასა და წუხილს გამოიწვევს.

უკან ვბრუნდებოდით და ქართველთა გოლგოთას ვემშვიდობებოდით. უბრალო ხის ჯვარი ჩვენის წარმოდგენიდან ეხლაც არ ამოშლილა. ის მუდამ დარჩება მის წარმოდგენაში, ვინც კი ერთხელ ნახავს. ჯერ-ჯერობით წელიწადში მხოლოდ ერთხელ ვიკრიბებით ამ ჯვრისა და წმინდა ადგილის გარშემო, მაგრამ გაივლის ხანა ჩვენის უბადრუკობისა, დაქვეითებისა, წმინდა ენერგიითა და ცხოვრების უნარით აღსავსე მომავალი თაობა ღირსეულად დააფასებს და პატივსა სცემს ამ ქართველთა გოლგოთას.

**კორდელი.**

# საუბარი საგურამოელ გლეხთან

საღამო ხანი იყო, მუშაობას მოვრჩი, ხელი დავიბანე და აივანზე დავჯექი ჩაის დასალევად. ჩემს გვერდით მჯდომს ახალ თანამოსამსახურეს, რომელიც ჩაის შეექცეოდა, შევეკითხე:

— შაქრო, ქართველი ხარ?

— დიახ.

— წერ-კითხვა იცი?

— არა.

— ცუდია, აბა ეხლანდელ დროში ვინ არის უსწავლელი, რომ შენ დარჩენილხარ?

— რა ვქნა, არავინ შემიყვანა სკოლაში.

— აბა, შაქრო, შენ იცი: აქ ჩემს მეტი ქართველი არავინ ყოფილა დღემდე და, რახან შენც მომემატე, იმედი მაქვს ყოჩაღად იქნები და საყვედურს არავის ათქმევინებ.

— ვეცდები.

— რომელი მაზრისა ხარ?—შევეკითხე; გაიღიმა და მითხრა;

— აკი ბაზმორთი შენ მოგეცი, იქ არა სწერია, რომ დუშეთისაო.

— ჰო, მართლა, ეხლა მომაგონდა! შაქრო, დუშეთის მაზრაში, რომ საგურამო სოფელია, ხომ არ გაგიგონია?—ამ შეკითხვაზე გაიცინა და მითხრა:

— საგურამო? საგურამო ხომ ჩემი სოფელია?

საკითხმა დამაინტერესა, ჩაის ჭიქა გვერდზე გადავდე და გავუბი საუბარი.

— ილია ჭავჭავაძე გაგიგონია?

— რო მოჰკლეს?

— ჰო.

— გამიგონია კი არა, მკვლელებსაც ვიცნობდი.

— სიცრუეს ნუ ამბობ, შაქრო,—შემჩნევა მივეცი,—მკვლელს შენ საიდან ნახავდი?

— ვინა? პავლია ფშაველიშვილი! შე კაი კაცო, მკვიდრი ჩემი მამიდაშვილი იყო, და არ ვიცნობდი?

— რა იცი, რომ იმან მოჰკლა?

— რა ვიცი, რამდენჯერ დალონებული ულაპარაკნია ჩვენ ოჯახში: ნეტავი ბატონი არ მომეკლა და სულ ციხეში ვმჯდარიყავიო! სულ ამას ამბობდა ნაღვლიანად. მაშა!

— შაქრო, რამდენი წლის ხარ?

— თვრამეტისა, შენი ჭირიმე!

— იცი, შაქრო, სწორედ გუშინ წინ შესრულდა ექვსი წელი ილიას სიკვდილის შემდეგ და შენ როგორ გემახსოვნებოდა თორმეტი წლისას ყოველივე აგრე, როგორც ლაპარაკობ?

— როგორ არ უნდა მახსოვდეს? ე, გინდ დაიჯერე და გინდ ნუ!

— ილიას იცნობდი?

— ილიას ეგრე ვიცნობდი, გზაში შემხვედრია და ჩემთვის უთქვამთ: ილია კნიაზიაო, მაგრამ ქალბატონს კი...

— ქალბატონს საიდგანოა?

— საიდგან და ერთი წელიწადი მასთან ვიყავი სასახლეში მოჯამაგირედ, ორმოც მანეთად; ისეთი კარგი ქალი იყო, სახელს არც კი მეძახდა, სულ შვილოვო!

— მერე როგორ მოხდა, რომ მოსამსახურემ ბატონი ვერ ნახე?

— ახლოს არ მინახია და, აბა, როგორ მოგატყუო, არ ჩამოსულა.

— რატომ?

— რა ვიცი, თვითონ პავლია იტყოდა და სხვებიცა, ხოლმე, რომ მოკვლისა ეშინიანო და არ ჩამოდისო. ხმა იყო გავარდნილი: ერთობის ხალხი კნიაზებს ემტერებიანო.

— ქალბატონს კი არ ეშინოდა?

— აკი ქალბატონიც მოეტაცათ ერთხელ?

— როგორ, რანაირად?

— როგორ და პავლიამ და რაზმელებმა ერთხელ შუაღამისას გამოიყვანეს თავის ოთახიდან, წაიყვანეს ბაღის ბოლოში და იქიდან ქაღალდი დაეწერინებინათ ილიასთან, ფული გამოგზავნე გამოსასყიდლიო.

— ილია სად იყო მაშინ?

— სახლში, მეორე ოთახში, მაგრამ რას გახდებოდა?

— კარგი, მაგრამ როგორ მოხდა, რომ არავინ არ გაიგო სასახლეში?

— ვის უნდა გაეგო, პავლია სასახლეში ათი წელიწადი იყო მოჯამაგირედ, თვითონ შინაურები აკეთებდნენ საქმეს, და ვისუნდა გაეგო, გაუძნელდებოდათ!

— პავლიას ვინ ჰყავდა ამხანაგები?

— ვინ და ნამამასახლისარი ინაშვილი.

— კიდევ?

— რა ვიცი, თავის რაზმელები.

— იმათ, ვინც ჩამოთვალე იცნობდი?

— ვიცნობდი მარა!

— პავლია რაზმელი იყო?

— რატომაც არ იქნებოდა რა, ილიასაგან იარაღი აკლდა თუ, სულ პატრონებში იყო.

— ილია რომ მოჰკლეს, პავლია სად გაიქცა?

— როგორც კი მოეკლათ, მაშინათვე სასახლეში გამოქანებულიყო, ტანისამოსი გამოეცვალა, და ვერავისაც ვერ გაეგო ერია თუ არა?

— კიდევ დიდხან იყო სიკვდილის შემდეგ ყარაულად?

— არა, ის იყო და ის.

— მერე აშკარად გავიდა რაზმელებთან? სულ რამდენი ხანი იყო რაზმელებთან?

— რამდენი ხანი იყო? სულ სანამ მოჰკლავდნენ.

— სოფელი რას ამბობდა შაქრო, რატომ მოჰკლესო?

— რა უნდა ეთქვათ, რაზმელებმა მოჰკლესო.

— უყვარდათ რაზმელები სოფლელებს!?

— ვინც მათი მომხრე იყო უყვარდათ და ვინც არა—არა!

— კარგი, აბა ეხლა მომიყევი შაქრო: ილიამ წყალი არ ზიდოთ ჩემი ეზოდანო, მართალი იყო?

— არა, ეგრე კი არ იყო...

— მაშ, როგორ, ფასს თხოულობდა წყალში თუ?

— ფასს კი არა და ეუბნებოდა: აქამდი მე გამოვიყვანე, მოვაგროვე საიდან სადაო, ამის შემდეგ კიდევ გასჭერით ჩემი მამული რამდენიც დასჭირდება და თქვენთვის საკუთრათ გაიყვანეთო; სოფელმაც ერთხელ იჯიუტა სიზარმაცის გამოისობით, ბოლოს აკი გამოიყვანეს და დაიახლოვეს კიდეც წყალი. სიკეთეს ეუბნებოდა, სხვას, ხომ არაფერს? აგრე რომ არ ექნა, ეხლაც გამოუყვანელი იქნებოდა.

— მაშ, ეგრე იყო?—და კიდევ შევეკითხე: ეგ ყველა კარგი, მაგრამ ის როგორ იყო, რომ ერთ მოხუცებულ ქალს ილიამ თავზე კოკა დაამტვრია წყლით სავსე?

— ეგ კი არ გამიგონია, ღმერთმანი.

— როგორ არა, შაქრო, აქ ქალაქელ გაზეთებში სწერდნენ: ილიამ ქალს კოკა დაამტვრია თავზეო, როგორ არ გაგიგონია?

— ეწერა თუ არა, ეს არ ვიცი, მაგრამ ჩვენი სოფელი ყბედიანია და ილიას, რომ ეგ საქმე ექნა, მთელ სოფელს სალაპარაკოდ ექნებოდათ.

— იცი, შაქრო, ილია სად არის დამარხული?

— დამარხული კი არა და წიწამურში რომ ნიშია და ზედ ჯვარი, ეს ვიცი. აწერია კიდეც რაღაცაა.

შემდეგ მამადავითისკენ ხელი გავუშვირე და ავუხსენი ყოველივე. ბოლოს თვით შემომეკითხა:

— რად გინდა, ამდენს რომ კითხულობ და სწერ? შენი მოკეთე ხომ არ იყო?

— ჰო, შაქრო, მოკეთე იყო ყველასი!—და სიბრალულით თავი ჩავკიდე. **მექი რატიანი.**

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**6 სექტემბერი.**

**უ ც ხ ო ე თ ი.**

**ვენა.** გერმანელთა კავშირის ორგანოს „ოსტერეინიშე-ფოლკს-ცაიტუნგს“ მოჰყავს ცნობები იმ მოლაპარაკებისა, რომელიც გერმანელ ნაციონალ დეპუტატებს შორის მოხდა ბალკანეთის საკითხის გამო. ავსტრიის პოლიტიკა არც ისე უნაყოფოა. როგორც ეს საზოგადოებას ჰგონია, ბალკანეთის კავშირი, რომელსაც რუსეთი და საფრანგეთი უჭერდა მხარს, გაითიშა: ბულგარეთი დაკარგულია სლავიანოფილებისთვის. ბალკანეთის სახელმწიფოები მაკედონიის გამო ათი წლის განმავლობაში წაკიდებულნი იქნებიან. ეს კი იმდენად სასარგებლოა ავსტრო-უნგრეთისთვის, რომ ყოველივე ზარალი, მარცხი პოლიტიკაში, გერმანიასთან კავშირის შესუსტება და რუმინიასთან დამოკიდებულების გაუარესება, ანაზღაურებულ იქმნება. მეორეს მხრით, ავსტრო-ვენგრია და გერმანია ერთი მეორეს მხარს მისცემენ, რადგან მოუხერხებელია ავსტრო-უნგრეთის და რუსეთის დაახლოება. არც გერმანიის და რუსეთის დაახლოვებაა შესაძლებელი. საფრანგეთის მიზეზით. რუსეთი ყოველთვის ეცდება თავისი გავლენა ბალკანეთში აღადგინოს. გერმანელი ნაციონალისტები მოითხოვენ სამთა კავშირისაგან სიმტკიცეს, გერმანია მხარს დაუჭერს ავსტრო-უნგრეთს, როცა ამას საქმე მოითხოვს და როდესაც ავსტრიას შეეძლება დარაზმული იყვეს ბრძოლისთვის, რაც ვერ შესძლო ახლო წარსულში, რადგან ავსტრო-უნგრეთს გადაწყვეტილი ჰქონდა მხოლოდ უკიდურესს შემთხვევაში მიემართნა იარაღისთვის. გასაგებია მცხოვრებთა უკმაყოფილება, რადგან ფიქრობენ, ყოველივე მსხვერპლმა უნაყოფოდ ჩაიარაო. მართალია ისიც, რომ ავსტრიის სამხედრო უწყებას ბევრი ნაკლი ჰქონდა; ფაქტიურად სახელმწიფოში საყოველთაო სამხედრო ბეგარა არ არსებობს. საჭიროების დროს ყველა ეროვნებათა სათადარიგო ჯარის-კაცებს ვერ გამოიყვანენ, ამიტომ იყო, რომ საზღვარზე მდგომ ჯარის გასაძლიერებლად ოჯახის კაცებს მეექვსე და მეშვიდე გასაწვევ ვადისას იბარებდნენ.

**სტამბოლი.** ოსმალებისა და ბულგარელების დელეგატებმა საზღვრების საბოლოოდ აღნიშვნის ოქმს ხელი მოაწერეს. არჩეულ იქმნა მცირე კომისია, რომელიც წვრილ საკითხებს გაარჩევს. შემდეგი კრება ორშაბათს მოხდება.

**ნიცა.** ტრამვაის კატასტროფის დროს 17 კაცი დაიღუპა.

**თეირანი.** რეგენტს ენზელში ამ სამ დღეში მოელიან. ნამდვილად რომელ დღეს მოვა, არავინ იცის, რადგან მალავენ. ხამადანში გაემგზავრა ინგლისელი კაპიტანი ვილსონი ინჟინრების თანხლებით ხურსე-მამად-მოხამერას რკინის გზის გამოსაკვლევად. წასვლა უნაყოფოდ უნდა დარჩეს, რადგან ლურისტანში დიდი არეულობაა. ბახტიარებსა და ჟანდარმებს შორის ქიშპობაა. შვედელმა ინსტრუქტორებმა მოითხოვეს, ბახტიარებს იარაღი ჩამოერთვასო. რადგან უკანასკნელნი მოთხოვნას არ შეასრულებენ, მოსალოდნელია საქმის გამწვავება.

**რ უ ს ე თ ი.**

**ნოვოჩერკასკი.** გამოფენის ყველა პავილიონები აშენებულია.

ბოდა შემცირდა და შევიწროვდა იგი და აგრე კლასობრივი ინტერესებით აღჭურვილი წოდება ერთი გულით მოითხოვდა გლეხების ხიზნებად გადაქცევას. ეს საშინელი ზომა იქნებოდა. მთავრობამ ვერ გაბედა მისი შესრულება, ხოლო ხიზნების მდგომარეობა კი დღემდე მოიყვანა. ყიფშიძე ამბობს, რომ მთავრობამ „მზრუნველობის კალთა გადააფარა ხიზნობას და იმის მაგიერ, რომ პირუთვნელი „არბიტრობა“ ანუ მედიატორეობა ეკისრნა, ადვოკატის და აჰეკუნის ხელობა აირჩია“-ო[21]). ხიზნებს მამული არ მისცეს, იგი არ გახადეს ღირსი სრული მესაკუთრის უფლებისა, არ გაანთავისუფლეს გადასახადებიდან და ყოველივე ეს ყიფშიძეს მზრუნველობად მიაჩნია! აბა, რას იტყოდა მაშინ, რომ ხიზანს უფულოდ მიეღო ის მიწა, რომელიც საუკუნით ეჭირა? ყოველ შემთხვევაში მემამულეები ხიზნობის შემოღება-გავრცელებასაც არ მოითხოვდნენ, რომ იგი მათთვის დიდად ხელსაყრელი არ ყოფილიყო და ამიტომ ანტი-თავად-აზნაურულ შეხედულებით სავსებით მართალი იყო ცნობილი იურისტი დავით ქაიხოსროს ძე ყიფიანი, რომელიც ამბობდა: „ხიზნობა, უვადოა იგი, თუ საუკუნო, ყოველ შემთხვევაში უშვერი, შეუსაბამო დაწესებულებააო, რუსულად безсрочное ли оно, или вѣчное—во всякомъ случаѣ оно (хизанство) нелѣпо“.[22]) ა. ყიფშიძის აზრით კი იგი „ისტორიული ხიზნობა არც უშვერი იყო, არც შეუსაბამო“. (№ 21) იგი **„თავისუფალი კავშირი იყო, სწორედ კეთილ-ნებურით“**— ღაღადებს „კლდე“ მე-30 №-ში. მაგრამ რად აგრე არ მიაჩნია ეს თქვენს შვილებს (მამაშვილური განწყობილება)? რისთვის აზვირთდა ტალღა ხიზნების მე-60 წლებში და რად მოითხოვდნენ განთავისუფლებას, რად გეუბნებოდნენ: „ქვეყანა განთავისუფლდა ხელმწიფის ბრძანებით და ჩვენც თავისუფალი ვართო“?[23]) აშკარაა ხიზნებს ბატონებთან მამა-შვილობას რჩევნია ამ მამა-შვილობის დარღვევა და განთავისუფლება და როცა ამ სურვილებს უარყოფს „კლდე“, მით იგი იდეალურ სამოსელში ხვევს ხიზნობას, ეტრფის მას, **იდეაში იცავს მას.** „კლდე“-ს რედაქცია, თუ ა. ყიფშიძე ამბობს, რომ „ხიზნობამ დიდი ხანია დრო და ჟამი მოიჭამა“-ო[24]) და ცხადია, როცა იცი რომ იგი აუცილებლად მოისპობა, მისი დაცვაც შეუძლებელია პრაქტიკულად, მაგრამ „კლდე“ ცდილობს სანაცვლოდ მის მოსპობაში დაიჭიროს მებატონეების მხარი. აქ კი იგი პირდაპირ რეაქციონურ გზას ადგია. ერთ ალაგას „კლდე“ ამბობს: „მხვნელ-მთესველს უფლება აქვს, როგორც მორალური, აგრეთვე იურიდიული, მოითხოვოს საკმარისი მამული სამუშაოდ. იგი შემოქმედია ეროვნულის სიმდიდრისა და მაშასადამე უნდა ჰქონდეს იარაღი წარმოებისა“.[25]) ეს საღი პრინციპია, ჩვენ ერთიანად ვადგევართ ამ პრინციპს და ამიტომ მოვითხოვთ ამ ხიზნებს, როგორც მხვნელ-მთესველ ხალხს, როგორც ერთად-ერთს შემოქმედს ეროვნულს სიმდიდრისას სრულიად უსასყიდლოდ მიეცეს ის მიწა-ადგილები, რომელზედაც დღეს მას მეურნეობა აქვს გამართული. ეს ზომა ხიზანთათვის ერთად-ერთი სასარგებლო და საჭირო ზომაა. მაგრამ „კლდე“ ამ ზომის წინააღმდეგ მიდის და ეყრდნობა საკუთრების პრინციპს: „**კიდეც რომ გადავლახოთ პრინციპი საკუთრებისა**-ო...[26]) მერე რა? განა კარგი არაა საკუთრების პრინციპის გადალახვით, თუ დასამუშავებელ მიწას მიწის მომუშავეს მივაკუთრებთ? ეგ ხომ ეროვნულ კეთილდღეობისათვის საჭიროა? თუ თავად-აზნაურობამ ვერაფერი გააკეთა მაშინ, როცა მას ჰქონდა დიდძალი მამული, ჰყავდა ხალხი და ერთიანად გაკოტრდა, გაფლანგა იგი მამული, განა ძარტო მიწა რომ მივაკუთვნოთ მას, მით დავიცვათ თქვენი პრინციპი საკუთრების—იგი მემამულე ხვალვე არ გაჰყიდის მას და მით ხიზანსაც დ თავის თავსაც უმამულოდ არ დატოვებს? ნუ თუ ეგ სასურველია? და როცა ა. ყიფშიძე ამბობს: „საქართველოს თავად-აზნაურობაზე რომ ლაპარაკობენ ხოლმე, თვალწინ, ვგონებთ, ინგლისის ლენდ-ლორდები უდგიათ, ან გერმანიის „იუნკრები“... სადაა ჩვენი დიდ-მამულიანი აზნაურნი?.. განა ამ ავლა-დიდების პატრონს წოდების შეიძლება ვაკისრებინოთ ისეთი დიდის ტვირთის ატანა, როგორიცაა **უმამულო კაცის დაპურიანება მამულით?**“[27]) ჩვენ კარგად ვიცით, რომ ჩვენში ლენდ-ლორდები და იუნკრები არ არიან, მაგრამ იგინი კი გვყავნდა უწინ, ცხოვრებამ გააკოტრა იგინი და სჯობს რომ სრულიადაც გაკოტრდეს მწარმოებელ ხალხის სასარგებლოდ. ეგ საქმე მოასწავებს არა მარტო იმას, რომ „ცხოვრებაშვილი ან გარსოშვილი“ „გაპროლეტარებას“ და „გაპარტახებას“ გადარჩებიან, ხოლმე ვინმე აბაზაძე ან ჩიკოიძე პროლეტართა და მოჯამაგირეთა მორევში შესცურდებიან“, არამედ ეგ მოასწავებს მუქთახორა წრეებიდგან საწარმოვო საშუალებების მწარმოებელ ხალხის ხელში გადასვლას. ეგ აშკარაა ყოველ თვალხილულისათვის და რამდენათაც ამ სინამდვილეს უარყოფს „კლდე“ **და ჩვენი აზნაურობა შესაბრალებელ ხალხად გამოჰყავს, ხოლო აბაზაძე-ჩივაძეს არ არჩევს ცხოვრებაშვილისგან, იმდენად იგი იცავს აზნაურობის ინტერესებს, ეწინააღმდეგება მწარმოებელთა და ჩვენი საერთონო სიმდიდრის დაგროვების ინტერესებს და მით ადგია რეაქციონურ-რეტროგრადულ გზას.** აი პრაქტიკულად როგორ იცავს „კლდე“ აზნაურთა ინტერესებს დღეს.

„არჩილ ჯორჯაძის ხიზანთა ინსტიტუტის დამცველად გამოყვანა, **თუ ლოღიკურად ვიმსჯელებთ,** მაშინ დაგვჭირდებოდა თუ ჩვენ **თითონ** ვიქნებოდით ამ ინსტიტუტის დამცველნი“-ო.[28]) ახლა ყველასათვის აშკარაა, რომ თქვენ იცავთ ამ ინსტიტუტს, ხოლო თქვენსავე აზრს მიაწერდით არჩ. ჯორჯაძესაც. აბა, არ ამბობთ? „არჩილ ჯორჯაძე ხიზანთა განწყობილების **კეთილ-ნებურობას** არ უარყოფდაო“—ამბობთ თქვენ.[29]) ამის საბუთი არ მოგყავთ. წინადადებას გაძლევთ ყოველ დროს ილაპარაკოთ ფაქტები და არა ფანტაზია. ხოლო იქვე ამბობთ: „ჯორჯაძე მხოლოდ სხვა თვალსაზრისით უყურებდა და ბურჟუაზიულად ნათლავდა. და ვერც ერთი ჭკუადმყოფელი ვერ უარყოფს, როცა **უფლებრივ** თვალსაზრისით შეხედავს საქმეს და არა სოციალისტურით“.[30]) ამნაირად, ჩვენი თვალსაზრისი რომ უარვყოთ და „კლდე“-ს უფლებრივს თვალსაზრისზე დავდგეთ, რომელიც აშენებულია დღეს რენტის და სარგებლის გამართლების საფუძველზე, მაშინ ხიზნობაში კეთილ-ნებურობას აღმოაჩენთო. არა, ბატონებო! რა ნიადაგზედაც უნდა დადგეთ, ეკონომიური ძლიერება ქედს უგრეხს ეკონომიურს უძლურებას. ორ კონტრაგენტს შორის შეიძლება შეიკრას პირობა, მაგრამ იგი პირობა ფიქცია იქნება უძლურის ხელში:

**თ. ლლონტი.**

[21]) ibid, № 13, გვ. 4.

[22]) ibid, გვ. 5, № 21.

[23]) ibid, № 17, გვ. 4.

[24]) ibid, № 13, გვ. 5.

[25]) ibid, № 21, გვ. 2.

[26]) ibid, № 15, გვ. 3.

[27]) ibid, № 21, გვ. 3.

[28]) ibid, № 30, გვ. 11.

[29]) ibid, გვ. 12.

[30]) ibid, გვ. 12.

დონის პოლიტეხნიკუმის სტუდენტმა იპოვნა მდინარეში მამონტის ძვლები.

**კიევი.** ვაჭართა საკრებულოში სტოლიპინის სახსოვრად საღამო გაიმართა. საღამო გახსნა ბალაშოვმა, ილაპარაკეს სათათბიროს და საბჭოს დეპუტატებმა.

**პეტერბურგი.** სრულიად რუსეთის ოტო-რინო-ლარინგოლოგებ ექიმთა კრება, რომელიც კიევში უნდა მომხდარიყო აგვისტოში, 25—29 დეკემბრისთვის გადაიდო.

**კიევი.** დიდის ამბით მოხდა სტოლიპინის ძეგლის გახსნა. პირველი გვირგვინი იყო ხელმწიფისაგან, მეორე კოკოვცევისაგან მინისტრთა სახელით და სხვა დეპუტაციებისაგან. სიტყვები წარმოსთქვეს: კოკოვცევმა, ნაციონალისტების ლიდერმა ბალაშოვმა და სხვათ. დიდძალი ხალხი დაესწრო ძეგლის გახსნას. ძეგლი წარმოადგენს ოთხ-კუთხიან ჯვარიანი ქვის პოსტამენტს, რომელზედაც ჯვარიან ქვისავე ნაცრისფერი კვარცხლბეკია აშართული, ზევით ბრინჯაოს სტატუა სტოლიპინისა სდგას. კვარცხლბეკის ალეგორიული სურათებია: რუსი მხედარი ზღაპრული ხანისა სიძლიერისა გამომხატველი და ქალი—მწუხარების გამომხატველი. წანა მხარეზე სწერია: „პ. ა. სტოლიპინს—რუსებისაგან“; მარცხენაზე—„მე ღრმად მწამს, რომ რუსეთის დასავლეთით აღნთებული ლამპარი არ ჩაქრება. არამედ მთელს რუსეთს განაბრწყინვებს“, მარჯვენა მხარეზე: „თქვენ ძლიერი შერყევანი გსურთ, ჩვენ კი დიდი რუსეთი გვინდა“. უკანა მხარეზე დაბადების და გარდაცვალების დატებია.

სასოფლო-სამეურნეო კრებამ დაადგინა, რუსეთის სააგრონომიო კულტურის აყვავება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც 17 ოქტომბრის მანიფესტის საფუძველნი ცხოვრებაში მტკიცედ გატარებულ იქნებიან, სასურველად სცნო უმაღლესს საგრონომიო სასწავლებელთან მიკრობიოლოგიურ განყოფილების დაარსება, საჭიროა დახმარება გაეწიოს პოლტავის საცდელ სადგურს, სასურველად სცნო კალმიურ პირუტყვის გამოკვლევა, ახალი ღონისძიების შემუშავება შინაურ პირუტყვთა ნაყოფის გასაძლიერებლად, საქონლის საუკეთესო ჯიშის არჩევა, წესიერად აღზრდა მოზარდი პირუტყვისა. ყველა საქმეების გაძღოლა კოოპერატივების და სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებების ხელში უნდა იყვეს, მიექცეს ადგილობრივ დაწესებულებათა ყურადღება ხორცის გაძვირებას, რძის წარმოების გაძლიერებას, კოოპერაციათა კავშირისთვის კრედიტის გახსნას, მათს შეკავშირებას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. კრებამ დაავალა კიევის სასოფლო სამეურნეო კრებას, რძით ვაჭრობის კანონ-პროექტი შეიმუშაოს.

**პეტერბურგი.** დაიჭირეს მე-30 ნომერი „სევერნაია პრავდა“-სი

რუსის სამხედრო საწყობების ქარხანაში აფეთქება მოხდა, ორი მუშა მოკვდა.

დაიჭირეს „ჟივაია მისლ“-ის მეშვიდე ნომერი.

სასამართლო პალატამ ექვსი წლის კატორგა გადაუწყვიტა დარაჯს სუეტოვს სიმჟავის სითხის მიხაილოვისადმი გადასხმისათვის.

ცენტრალურ სასტატისტიკო კომიტეტში დაიწყო მუშაობა 1915 წელს განზრახულ მეორე სრულიად რუსეთის აღწერისათვის.

ხერსონში 4 სექტემბერს ხოლერით ავად გახდა 1, მაზრაში 30—31 აგვისტოს ავად გახდა, 2, გარდაიცვალა ერთი.

**მოსკოვი.** დაიჭირეს მე 11 ნომერი „ჩვენი გზისა“. ხუთასი მანეთით დააჯარიმეს „რუსკოე სლოვო“ ხარკოვიდან გამოგზავნილ კორესპოდენციის მოთავსებისათვის მე-178 ნომერში.

**ოდესა.** ჩამოვიდა მალინოვსკი და შეუდგა ხოლერის წინააღმდეგ ზომების მიღებას.

**რედაქტორ-გამომცემელი**
**ა. ჭუმბაძე.**

# განცხადებანი


მასწავლებელი
## სიმ. ა. გრიაზნოვი
ამზადებს ვაჟთა და ქალთა გიმნაზიისა, რეალურ და კომერციული სასწავლებლის ყველა კლასსისათვის, სამასწავლებლო ინსტიტუტში, მიწის მზომელთა და სამხედრო სასწავლებელში, სამასწავლებლო ხარისხზე. სააფთიაქო შეგირდად და სხვა. იყვანს სრულს ხარჯზე.
ადრესი: ვერა, იზმაილოვის მიხაზვევი სახ. 6, ბინა 8. 584.

## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.
ზ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგაბაბოვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. ვ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
კ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—1½ საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი ზ. ა. ნავასარდიანი. 1004

## საბურთალოზე
მშვენიერ ალაგას
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

## ფეხსაცმელები თომა დ ჯანუარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში,
მუხრანის ქ. № 2.
ყოველნაირი:
საკუთარი დ პეტერბ.

მეხანიკური ნაწარმოები. 527

## ექიმი ზ. ა. მიძელაძე
15 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

## ექიმი
კბილისა
ნინო რცხილაძე
იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს., ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა.

## ექიმი ვ. მუსხელიშვილი
1 მარიამობისთვიდან მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

გონორეის (სუსუნაკის) წინააღმდეგ უახლესი საშუალება:
„SALO—პიჩილინ“.
სწრაფად და არსებითად მოქმედებს და, ექიმთა აზრით, გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფებითა და ღირს 1 მ. და 1 მ. 80 კ.
აგრეთვე კარგად მოქმედებს მეტად გართულებულ და დაძველებულ ავადმყოფობის დროს და სულ მოკლე ხანში სპობს უწყვეტელ მდინარეობას.
დეპო: Петербургъ, разъѣжая, № 7 аптека Б. Конгейма. იგზავნება ფასდადებით. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. იშოვება საათფთიაქო საქონლის კავკასიის საზოგადოების სავაჭროში.
Метцль 2?238. 1038




ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი პირველი
## საბუღალტრო კურსები ნ. პ. აბრაამიანისა
(დაარსებულია 1895 წ.)
„სავაჭრო ბუღალტერიის სახელმძღვანელოს“ და სხვა სპეციალ. სახელმძღვანელოების ავტორისა.
ორივე სქესისათვის. რადგანაც მეცადინეობა ყოველ დღე იქნება კურსებზე სწავლა 4 თვე გრძელდება.
მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს 1913 წ. კურსებზე სავალდებულოდ სწავლობენ: მრეწველობის ყველა დარგის ბუღალტერიას, ნავთის მრეწველობასთან და ნავთის ქარხნებთან დაკავშირებით, სხვა და სხვა მეთოდით, მაგრამ სპეციალურად იტალიური ორმაგი სისტემით; კომერციული ანგარიში; კომერციული კორესპონდენციას; ვექსილისა და ვაჭრობის უფლებას—პოლიტიკური ეკონომია; ანგარიშს ჩოტებზე და კალიგრაფიას. არა სავალდებულოდ: უცხო ენებს, სტენოგრაფიას და საბეჭდავ მანქანითბეჭვდას. მასწავლებლები—თავიანთ საგნების სპეციალისტები არიან, უმაღლესი განათლებით პრაქტიკულად და თეორიულად მომზადებულნი.
ატესტატები სამინისტროს ნებართვით სუსტად მომზადებულთათვის კურსებთან დაარსებული დამატებითი მოსამზადებელი კლასები: რუსულ ენისათვის და ანგარიშისათვის.
კურსების პროგრამა და წესი მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველთ ყოველ დროს. თხოვნები მიიღება ყოველ დღე დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
კურსები აწვდის სავაჭრო დაწესებულებებს თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებულ ბუღალტრებს, თანაშემწეებს, კორესპონდენტებს და კანტორის სხვა და სხვა საქმის მცოდნე მოსამსახურეებს კურსების თავმდებობით. კურსებზე უსწავლია 2.000 კაცზე მეტს.
პირადად ან წერილობით მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, 22, ს. ს. ტელეფონი 744. 1433.

## დიდი იაფ-ფასიანი ვაჭრობა პ. ს. დოროფეევის იაროსლავის მაღაზიაში
მიხეილის პროსპ., ნემეცების ეკლესიის გვერდით, ტელეფ 838.
## გაგრძელდება 7 დღეს
## ფასები ძლიერ დაკლებულია
ამერიკულობაზე, მაუდისა, მიტკლისა, დრაფისა და ტრიკოს ქსოვილებზე, ტილო სასუფრე, ბამბის ფერადი ქსოვილები.
მზა საცვალი კაცისა და ქალისა; წინდები და ნაირნაირი ტრიკოს ნაქსოვები, ბამბის ქსოვილები, პლუში, ტიული და ფარდები.
საბნები, თავსაფრები, ოთახის გზები და ხალიჩები.
**იაფ-ფასიან ვაჭრობის დროს**
მაღაზია ღია იქნება დილის 8-ნახევარ საათიდან ნაშუადღევის 2-ნახევარ საათამდე და საღამოს 4 საათიდან 6-ნახევარ საათამდე. 433

კომერციულ ცოდნათა კურსებზე ტ. მ. ფილოიანისა, [illegible] ასწავლიან
## ფრანგულის, გერმანულის და ინგლისურ
ენათა თავისუფალ კითხვას, წერას და ლაპარაკს სულ მოკლე დროში თეორეტიულისა და პრაქტიკული მეცადინეობის საშუალებით. დაწვრილებითი ცნობების მიღება კურსების კანცელარიაში შეიძლება დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათ. მიხეილის პროსპ. № 24, ტელეფონი № 976. 145?

## მუდამ დღე მოგვდის
თევზის მრეწველნი
## ძმ. მეგველოვები. 1078
პუშკინის ქუჩა, საკუთ სახ. № 9
ტელეფონი № 712.
ახალ-ახალი
მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.
ახალი მსხვილ მარცვლოვანი
ხიზილალა ქვიშა.
აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დოში, იანი, შიპა, ზურგიელები და სხვა ყოველნაირი თევზეულობა
კონსერვები.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
## საკომერციო ცოდნათა კურსები ტ. მ. ფილოიანისა,
ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4, ტელეფ. № 976.
სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის, კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.
პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებელში (ლონდონში) და Pigi-ის (პარიზში), Muster comtoir-ში. მასალები რეალურ ცხოვრებიდან აიღება:
საგნები: ა) სავალდებ.: 1) ბუღალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, ამერიკული, საბანკო დ საფაბრიკო-საქარხნო); 2) კომერციული არითმეტიკა. 3) პოლიტიკური-ეკონომია, 4) კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება. 5) კომერციული კორესპონდენცია. 6) არითმეტიკა ჩოთქზე. 7) კალიგრაფია, სწორი წერა, ხელის გასწორება. ბ) სავალდებულო: 1) უცხო ენები. 2) სტენოგრაფია. 3) დაქტილოგრაფია (რემინგტონი და სხვა) და 4) კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე.
მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10—12 ს., დილით და 4—7 ს. საღამ. მეცადინეობა დაიწყება 15 ენკენისთვიდან. პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების კანცელარიიდან. კურსები კარგ მოწაფეთათვის მეცადინეობენ სავაჭრო სახლებში ადგილის საშოვნელად. მიმდინარე წელს სულ 284 მსმენელი იყო, ამათგან 53 ქალი. 1424

გამოსულია და იყიდება
## ი. გედევანიშვილის პიესა „გამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

## ცინკოგრაფია
წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ
## კლიშეების დამზადებას
საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდომ ფასად.
ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. Тифлисъ Бол. Ванк. ул. [illegible]
1009

საუკეთესო საკვები ცხენებისათვის და საქონლისათვის
## „პატოკსან“.
„პატოკსანი“ შეიცავს 42% შაქარს (სრულიად რუსეთის შაქრის მრეწველთა ლაბორატორიის ანალიზი № 647.
„პატოკსანი“ საუკეთესო საშუალებაა საქონლის ღონის შერჩენისათვის და შემატებისათვის (მოხსენება ექ. იოტეიკოსი ლიეჟის შაქრის მრეწველთა კონგრესზე.
„პატოკსანი“ ხელს უწყობს საქონელს და ცხენებს საჭმლის მონელებაში რაც თავის რიგად ეხმარება შრომის უნარისა და სიცოცხლის უნარის შემატებას.
„პატოკსანი“ ხელ უწყობს რომ რძის მომცემ საქონელს რძე გაუუმჯობესოს და ღიური ნაწველიც გაადიდოს.
„პატოკსანი“ ფხვნილია და ამიტომ შეიძლება ადვილად გადაურიოთ ქერში და სხვა საჭმელში.
„პატოკსანი“ თავის ნოყიერების გამო ძალიან მარგებელია და ეკონომიური საჭმელი.
ვინც მოისურვებს გაეგზავნება ერთი ფუთი 1 მ. 20 კ. გაგზავნის ფასს ვიხდით ჩვენ გაგზავნის დროს. ყოველგვარ ცნობა და მომხმარებლების აზრი უფასოდ იგზავნება ამიერ-კავკასიისათვის.
ერთად-ერთი წარმომადგენელი ამიერ-კავკასიისთვის „გეორგი რუსინოვ და ამხ.“ ტფილისში, ვერის დაღმართი № 12, ტელეფონი 11—3? და 11—77. პოშით მისამართი: „რუსინოვს—ტფილისი“. 1384.

სავაჭრო და სამრეწველო სამინისტროს განკარგულების ქვეშ მყოფი
## ბუღალტერიის პრაქტიკული კურსები ი. თ. პალატნიკოვისა.
თხოვნების მიღება და მსმენელთა ჩაწერა ყოველ დღე დილის 10 ს. საღ. 8 ს.-დე. მეცადინეობა დაიწყება 15 ენკენისთვიდან. კურსები იძლევიან საფუძვლიან და სრულ ცოდნას, ამზადებს საკანტორო-ბუღალტერიისა და კორესპონ. სამუშაოდ. კურსებზე შესწავლა საფუძვლიანად სწავლობს: 1) ა) ბუღალტ. ჩვეულებ. და ორნაირს: იტალ., ფრანგ., გერმან., ამერიკ. და ახალ რუსულ (ყველა სისტემით პრაქტიკულ სამუშაო), ბ) თვლა-ანგარიში: საზოგ., სავაჭრ., ბანკ., ქარხ., სასოფლო-სამეურ., 2) კომერც. ანგარ., 3) ვაჭრობის უფლება, 4) ვექსილის უფლება, 5) კომერციულ კორეს., 6) ანგარ. ჩოთქზე, 7) კალიგრაფია, 8) მუშაობ. შესწ საწერ მანქანაზე, 9) რუსული ენა, 10) ანგარიში, 11) უცხო ენები: ფრანგ და გერმან., 12) საკომერც. კორესპ. უცხო ენებზე. რუსული ენა ანგარიში და საწერ მანქანებზე ბეჭდვის სწავლება უფასოა მსმენელთათვის. მიმდინარე წელს კურსებზე სწავლობდა 182 კაცი, აქედან 3 საბუღალტ. ჯგუფში იყო 144. მასწავლებლებად არიან მოწვეულნი უმაღლესი განათლებით. სპეციალ. კურსების წესდება და პროგრამა უფასოა. 1430

გამოსულია და იყიდება
## ნ. შიუკაშვილის პიესა „მემკვიდრეობა“,
დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.